P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

რომან გოცირიძე საშემოსავლო გადასახადში დაუბეგრავი მინიმუმის წინააღმდეგ გამოდის

იხილეთ მე-2 გვერდზე

სილარიბის ფასი: 1000 დაღუპული ბავშვი წელიწადში

იხილეთ მე-7 გვერდზე

№ 7 (695) 17 - 23 მარტი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ქუთაისში ჯიხურების ორთვიანი არსებობის ეპოქა დასრულდა?

როდის დაარღვიეს ქუთაისელმა ჩინოვნიკებმა კანონი, როცა ჯიხურების დადგმის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, თუ მაშინ, როცა ეს ხელშეკრულება ბათილად ცნეს?

მიმდინარე წლის 4 მარტს ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ლევან კირკიტაძემ, ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის ძალითაც ბათილად გამოცხადდა მერიის მიერ შპს „მადლთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, პროდუქტის სარეალიზაციო მსუბუქი კონსტრუქციის ტიპის ჯიხურების დადგმის შესახებ.

ამ თემას საზოგადოებასა და ქალაქის მმართველ გუნდში თავიდანვე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. მოწინააღმდეგეებისა და მომხრეების მიუხედავად, ქალაქის ქუჩებში ჯიხურების 5-წლიანი არსებობის გარანტია ქალაქის მერიას და შპს „მადლს“ შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება გახდა. აღნიშნულ შპს-ს ქალაქის მაშინდელმა მერმა ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონება პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში იჯარის ფორმით გადასცა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

პარკირების ახალ პროექტს და გაზრდილ გადასახადს ქუთაისში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროტესტი მოჰყვა



„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

უნდა ეშინოდეთ თუ არა ქუთაისელებს ავტომობილში ბავშვის დატოვების?

იხილეთ მე-2 გვერდზე

რატომ იმუქრებიან წერეთლის ქუჩის მცხოვრებლები გზის გადაკეტვით?

იხილეთ მე-2 გვერდზე

საარჩევნო კოდექსი პარლამენტმა უკვე მიიღო

„ცვლილებები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საარჩევნო გარემოს, თუმცა, სასურველი იქნებოდა, კიდევ რამდენიმე საკითხი ასახულიყო კოდექსში“

იხილეთ მე-5 გვერდზე

სკოლის დღიური

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, საიჯრო ცენტრი „ჰოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

ირაკლი ბერძენაძე:

„იმის თქმა, რომ რუსეთის ეკონომიკა ჩამოიშალა, არის აბსურდი!“

იხილეთ მე-3 გვერდზე

რას წერდა „საბჭოთა აფხაზეთი“ ქართველი მეთევზეების შესახებ



ეძღვნება აფხაზეთის მკვიდრ როლანდ ხარჩილავას ხსოვნას

იხილეთ მე-6 გვერდზე

სკანვორდი — გვ. 8

ჰოროსკოპი — გვ. 8

PSnews.ge

ISSN 1987-7056

რატომ იმუქრებიან წერეთლის ქუჩის მცხოვრებლები გზის გადაკეტვით?

ქუთაისში, წერეთლის ქუჩის მერვე შესახვევის მოსახლეობამ მათ ქუჩაზე არსებული პრობლემები 14 მარტს კიდევ ერთხელ გააპროტესტა.

ადგილობრივების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ცენტრალურ უბანში ცხოვრობენ, მაინც — გაუსაძლის პირობებში უწევთ ყოფნა.

ამორტიზირებულია გზის საფარი, გახეთქილია წყლის მილები, რის გამოც ქუჩაში ყოველთვის წყალი დგას, გაუმართავია ელექტო ბოძები.

ადგილობრივების განცხადებით, მათ არაერთხელ მიმართეს მერიას, თუმცა უშედეგოდ. წერეთლის ქუჩის მცხოვრებლები მერიას ამჯერად ერთკვირიან ვადას აძლევენ, თუკი ერთ კვირაში მათ ქუჩაზე სამუშაოები არ დაიწყება, წერეთლის ქუჩის ცენტრალური გზის გადაკეტვით იმუქრებიან. ადგილობრივებთან ერთად ქუჩაზე არსებული პრობლემა პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაციის წევრებმაც გააპროტესტეს. პარტიის თავმჯდომარის, გოგი წულაიას განცხადებით, ხელისუფლებამ საქმე უნდა აკეთოს, საკუთარ მოსახლეობას მოუსმინოს და პრობლემები მოუგვაროს, რის შემდეგაც საარჩევნოდ ხმების მათხოვრობა აღარ დასჭირდება.

ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში აღნიშნეს, რომ მათთან შესული განცხადების საფუძველზე დაიწყება აღნიშნული ქუჩის პრობლემების შესწავლა და შეეცდებიან, ადგილობრივ ბიუჯეტში გამოძებნონ თანხები გზის კეთილმოსაწყობად, ვინაიდან წერეთლის მერვე შესახვევი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებულ ქუჩებს შორის ვერ მოხვდა.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
ბ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

პარკირების ახალ პროექტს და გაზრდილ გადასახადს ქუთაისში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროტესტი მოჰყვა

უნდა ეშინოდეთ თუ არა ქუთაისელებს ავტომობილში ბავშვის დატოვების?

ქუთაისში ე.წ. პარკირების სისტემა ვერანაირ კრიტიკას რომ ვერ უძლებს, არახალია. თვითნებურად გამოცხადებული პარკირების მოუწესრიგებელი ადგილები არაერთხელ გამხდარა მოქალაქეების და პოლიტიკური პარტიების უკმაყოფილების მიზეზი. ავტომობილის მფლობელები მოუწესრიგებელ ადგილებს, პოლიტიკოსები კი პარკირების კორუფციის წყაროდ გადაქცევას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ არსებული სიტუაციით ქალაქის ბიუჯეტი სოლიდური თანხით ზარალდება.

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ამ დროისთვის ქუთაისში ტენდერში გამარჯვებული რამდენი კომპანია განკარგავს პარკირებისთვის ადგილებს, ზუსტ ციფრს ვერ ასახელებს ქუთაისის ვიცე-მერი ნოდარ მიქიაშვილი: „ზუსტად არ ვიცი, რამდენი კომპანიაა, ვიცი, სამზე მეტი რომ არის," — აღნიშნა ვიცე-მერმა.

ქუთაისში ავტომობილების გასაჩერებელი სპეციალური ფასიანი ადგილების მოწყობა ბოლო დროს კვლავ აქტუალური გახდა. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებული პროექტი, ქალაქში ავტომობილების გასაჩერებელი ადგილების მოწყობისა და ამ ადგილებით სარგებლობისთვის საფასურის 50 თეთრამდე გაზრდის შესახებ საკრებულომ დაამტკიცა. შესაბამისად, არსებული პროექტით ქალაქი პარკირების ახალ სისტემაზე გადადის. რაც გულისხმობს იმას, რომ მიმდინარე თვის ბოლომდე 400 000-ლარიანი ტენდერი გამოცხადდება.

ახალი პროექტი ძველისგან იმითაც განსხვავდება, რომ ტენდერში გამარჯვებული მხოლოდ ერთი კომპანია გამოვლინდება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული ადგილების კეთილმოწყობას, სტიკერების ან ერთთვიანი საბონენტო ბარათების დამზადებას, რომლის ღირებულებაც 40 ლარი იქნება.

რაც შეეხება ამ დროისთვის არსებული პარკირების ღირებულებას, ფიქსირებული ზუსტი გადასახადი არ არსებობს. „სტაიანშიკები" ავტომფლობელებს მანქანის დგომისთვის გადასახადს საკუთარი სურვილისამებრ უწესებენ, რაც 20-დან 40 თეთრამდეც მერყეობს.

რამდენ თანამშრომელს აიყვანს გამარჯვებული კომპანია, დარჩებიან თუ არა ძველი კადრები, რა უფლებები ექნებათ მათ, ამას ტენდერში გამარჯვებული კომპანია გადაწყვეტს.

პარკირების ახალი მოდელი მიუღებელი აღმოჩნდა პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაციაში. როგორც პარტიის თავმჯდომარე გოგი წულაია აცხადებს, პარკირების სისტემის ერთი პიროვნების ხელში მოქცევა უკვე გულისხმობს სისტემის კორუფციულობას.

„ჩვენ ვაპროტესტებდით პარკირების იმ სისტემას, რაც იყო ქალაქში, მაგრამ ახლა ერთი სიმახინჯიდან მეორე სიმახინჯე მივიღეთ. საკრებულოს დადგენილებით, პარკირება ერთი პიროვნების ხელში გადადის, რაც თავშივე გულისხმობს კორუფციულ სქემას.

საკრებულოს წევრებმა და მერის მოვალეობის შემსრულებელმა, ჯერ ქალაქში არსებული მდგომარეობა შეაფასონ და მერე მოახდინონ საფასურის გაზრდა. მთელი ქალაქი სიღარიბის პირასაა, ლუკმის შოვნა უჭირს ხალხს, ესენი კი გადასახადს უმატებენ. ამბობენ, რომ გაზრდილი გადასახადით ბიუჯეტში მეტი თანხა შევა, რაც მისასალმებელია, მაგრამ თუ ეს თანხები შემდეგ მათ პრემიებზე, ბენზინსა და ქეიფში უნდა დაიხარჯოს, მაშინ სჯობს, საერთოდ არ გაიზარდოს ბიუჯეტი.

ყველამ კარგად ვიცით, რომ „სითი პარკმა" თბილისში არ გაამართლა და მისი ერთი-ერთზე ქუთაისში გადმოტანა არაა სწორი. მით უმეტეს, თუკი გამარჯვებული კომპანია არ მოაწესრიგებს პარკირების ადგილებს, არ დახაზავს და არ დააგებს გზებს, მაშინ გაგვაგებინონ, ფულს რაში გვახდევინებენ," — განაცხადა **წულაიამ.**

წულაიას მოსაზრებას, კორუფციის ახალ წყაროსთან დაკავშირებით, არ ეთანხმება ვიცე-მერი. მიქიაშვილის განცხადებით, არსებული ადგილების საერთო ღირებულება ნომინალით 200 000 ლარამდე იყო, თუმცა მერია 400000 ლარიან ტენდერს გამოაცხადებს, რითაც ყოველგვარი კორუფციული გარიგება თავშივე გამორიცხა.

პარკირების პროექტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ საკრებულოს „ნაციონალი" დეპუტატები.

„ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლებიდან იყო აღთქმა იმისა, რომ უმცირესობაში მყოფი დეპუტატები, ასეთი მნიშვნელობის პროექტების განხილვაში მივიღებდით მონაწილეობას, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩვენ პარკირების პროექტს არ ვიცნობთ, ამიტომ მას მხარს არ ვუჭერთ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პარკირების სისტემა ნამდვილად მისახედია და მტკივნეული საკითხია, მით უმეტეს, ქალაქის ცერნტრალურ ნაწილში," — განაცხადა საკრებულოს „ნაციონალმა" დეპუტატმა **დავით გოგიშვანიძემ.**

ქალაქის მასშტაბით, ავტომობილების გასაჩერებლად 142 ფასიანი სადგომი მოეწყობა. აქედან 100 საერთო სარგებლობის იქნება, 42 კი ტაქსებისთვის და გასაქირავებელი დიდი მანქანებისთვის.

„ჩვენი მიზანია, პარკირება რაც შეიძლება მოხერხებული გახდეს, კეთილმოეწყობა სპეციალური ადგილები. რაც შეეხება საფასურს, ჩვენ შევადარეთ ორ დიდ ქალაქს, თბილისსა და ბათუმს, სადაც შედარებით მოწესრიგებულია აღნიშნულის სისტემა და გეტყვით, რომ ჩვენთან მიღებული თანხა გაცილებით იაფია. ასევე, გამარჯვებული კომპანიის სურვილისამებრ მოხდება ან ერთთვიანი სპეციალური სტიკერების ან საბონენტო ბარათის დამზადება, რომლის ღირებულებაც 40 ლარი იქნება და ეს თანხა ნამდვილად რეალურია ქუთაისისთვის.

რაც შეეხება კითხვას, იქნება თუ არა ეს „სითი პარკის" ანალოგი, ამაზე ცალსახად ვერ გიპასუხებთ, რადგან რაც მისაღებია, მაგალითად პარკირების ადგილების დახაზვა და კეთილმოწყობა, რა თქმა უნდა, იქნება „სითი პარკის" ანალოგი, რაც შეეხება მანქანის საჯარიმო ადგილზე გადაყვანას, ჩვენი მოთხოვნა იქნება, რომ ეს არ მოხდეს," — განაცხადა **მიქიაშვილმა.**

ამ დროისთვის ბიუჯეტში ქალაქის მასშტაბით 55 000-დან 60 000 ლარამდე შედის, რაც ახალი ტენდერით 400 000 ლარი გახდება, შესაბამისად, ბიუჯეტი ერთი წლის განმავლობაში 340 000 ლარით გაიზრდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარკირების ახალი სისტემით ქუთაისელთა და არა მარტო მათ დასამშვიდებლად შეიძლება ითქვას, რომ მათ არც საკუთარი ავტომობილების საჯარიმო სადგომზე ძებნა მოუხდებათ და არც მანქანაში ბავშვის დატოვების შეეშინდებათ (როგორც ეს თბილისში მოხდა), ვინაიდან, ვიცე-მერის განცხადებით, მათი სურვილია, კომპანიამ არა დაჯარიმებული მანქანის ევაკუაცია მოახდინოს, არამედ საბურავებზე სპეციალური დამცავის დამაგრება მოხდეს. შესაბამისად, მძღოლი მანქანას ვერ დაძრავს, ვიდრე მითითებულ ნომერზე არ დარეკავს. ადგილზე მისული ჯგუფი კი მძღოლს ჯარიმის ქვითარს გადასცემს.

პარკირების ახალ სისტემაზე გადასვლამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ავტომობილის მფლობელებსა და ტაქსის მძღოლებში. ნაწილს მოსწონს, თუკი მანქანის გასაჩერებელი ადგილი კეთილმოეწყობა და საჯარიმო სადგომზე გადაყვანაც არ მოხდება, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ 50 თეთრი მათი ბიუჯეტისთვის მძიმე ტვირთია, მით უმეტეს, რომ დღის განმავლობაში შეიძლება რამდენჯერმე მოუხდეთ ავტომობილის გაჩერება.

ნესტან ჩაგელიშვილი

რომან გოცირიძე საშემოსავლო გადასახადში დაუბეგრავი მინიმუმის წინააღმდეგ გამოდის

საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამად ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარის, რომან გოცირიძის განცხადებით, ბოლო წლებში მიმდინარეობს მეტნაკლებად შეკრული საგადასახადო კოდექსის რევიზია, მის გაუარესების კუთხით. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად მიაჩნია საშემოსავლო გადასახადში დაუბეგრავი მინიმუმის ცნების შემოღება, რომელიც ითვალისწინებს 500 ლარამდე შემოსავლების მქონეთათვის ამ გადასახადით არდაბეგვრას.

მისი აზრით, თანხის უკან დაბრუნების მექანიზმი არის ტექნიკურად ძნელი, აღსარიცხად რთული და ბიუროკრატიული. მეორეც, ხელს უწყობს ხელფასების შეგნებულად შემცირებას დამქირავებლების მხრიდან და ხელზე, ე.წ. კონვერტით ანგარიშსწორების ძველი მახინჯი წესის აღდგენას.

აღნიშნულ ცვლილებას, რომელსაც თავისი გაურკვევლობის და ქაღალდომანიის გამო, მაინც და მაინც დიდი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია დაქირავებულებში, ნიშნავს ასევე ერთიანი გადასახადის განაკვეთიდან დიფერენცირებულზე გადასვლას, რაც არ არის სამართლიანი. ჩნდება ცდუნება იმისა, რომ მეტი შემოსავლიანი დაიბეგროს მეტად, რაც იყო უკვე ერთხელ საქართველოს სინამდვილეში და რასაც თან სდევდა შემოსავლების მასობრივი დამალვა და ცარიელი ბიუჯეტი.

„სოციალური საკითხების ერთადერთი მომგვარებელი არის ბიუჯეტი და არა საგადასახადო, საბაჟო თუ სხვა სახის სუბსიდია-პრეფერენციები. დახმარება უნდა იყოს მიზნობრივი, უნდა შეიქმნას სიღარიბეში მყოფთა დადგენის გამართული სისტემა. სწორედ ასეთი მექანიზმების არქონის ბრალია ის, რომ ვჩუქნით, მაგალითად, შუქის და კომუნალური მომსახურების ვაუჩერებს იმათ, რომელთაც ძალიან უჭირთ და იმათაც, ვისაც ეს არაფერში სჭირდება. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა გვინდა დავეხმაროთ ღარიბს, შედეგს კი იმკიან მდიდრები," — აცხადებს რომან გოცირიძე.

თათა ბლიაძე

ქუთაისში ჯიხურების ორთვიანი არსებობის ეპოქა დასრულდა?

როდის დაარღვიეს ქუთაისელმა ჩინოვნიკებმა კანონი, როცა ჯიხურების დადგმის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, თუ მაშინ, როცა ეს ხელშეკრულება ბათილად ცნეს?

„P.S. ფოტო“ (ეკა შალამბერიძე) ©

პირველი გვერდიდან

ხელშეკრულების გაფორმებიდან მალევე ქალაქის ქუჩებში ჯიხურების განთავსება დაიწყო და მასთან ერთად დაიწყო საუბრებიც იმაზე, რა სარგებელი და ზიანი მოჰქონდა მას ქალაქის იერსახისთვის. იმ დროინდელი საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი და მერის მოვალეობის შემსრულებელი კოტე ლომიძე, რომლებმაც ქალაქში ჯიხურების განთავსების ნებართვას ხელი მოაწერეს, დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ ამ ფორმით იაფი პროდუქტის რეალიზებას საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

როცა კოტე ლომიძემ პირველი პირის პოსტი დატოვა, მისი პოზიციები ჯიხურების თემაზე შეიცვალა და საკუთარი ხელმოწერა ასე ახსნა: სადმე, რომელიმე ინსტანციაში ერთხელ მაინც რომ დაბრკოლებულიყო ეს საკითხი, მე ხელშეკრულების გაფორმებას ხელს არ მოვაწერდი, მაგრამ ყველამ მოიწონა და მეც დამარწმუნეს, რომ ჯიხურების დადგმით ხალხი სარგებელს მიიღებდაო,“ — აღნიშნა **ლომიძემ.**

ოპოზიციურმა პარტიებმა ჯიხურების თემაზე ცალსახად კრიტიკული მოსაზრებები დააფიქსირეს და აქტუალური თემა საკრებულოს მაშინდელ სხდომებზე განხილვის თემად იქცა.

ქალაქის ვიცე-მერი, ნოდარ მიქიაშვილი, საკრებულოს სხდომებზე მერიასა და შპს „მადლს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულების ორმხრივად დაცვის ვალდებულებებზე საუბრობდა და აცხადებდა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, ჯიხურები ქალაქში დარჩებოდა, მაქსიმუმ მათი ადგილმონაცვლეობა შეიძლებოდა მომხდარიყო.

პარალელურად, განსხვავებული იყო ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის, შოთა მურღულიას კომენტარები, რომელიც ჯიხურების მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას არ მალავდა და ჯიხურების „ქალაქიდან მოშორებაზე“ საუბრობდა.

4 თვის შემდეგ ჯიხურების დატოვება-მოშორებასთან დაკავშირებით პირველი პირის პოზიციები უფრო პრინციპული აღმოჩნდა და მან გამოხატულება 2014 წლის 4 მარტს ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ლევან კირკიტაძის ბრძანებაში ჰპოვა. ბრძანება შპს „მადლლან“ გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობას ეხება.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ ქუთაისში იაფი პროდუქტების სარეალიზაციო ჯიხურების დადგმის თაობაზე 2013 წლის 24 ოქტომბრის დასტურის კანონიერების შესწავლის მიზნით, მერიაში ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და გამოიკვეთა მთელი რიგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმების დარღვევები.

ნომერ პირველ დარღვევად საავტომობილო გზების შესახებ კანონია მითითებული, რაც გზის ღერძიდან 100 მეტრამდე დადგმული ნაგებობების გზების მფლობელებთან შეთანხმების აუცილებლობას ითვალისწინებს. აღნიშნული ჯიხურების განთავსების შემთხვევებში კი ეს შეთანხმება არ მომხდარა. ბრძანებაში ასევე წერია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისრტაციული კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინება და მონიტორინგი საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის მოვალეობა იყო, რაც არ განხორციელებულა. „საკრებულოს თავმჯდომარეს არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარმოება, არ გამოუკვლევია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე მიიღო გადაწყვეტილება.“

იმავე ბრძანებაში რატომღაც არაფერია ნათქვამი ხელშეკრულების გაფორმებაში ერთ-ერთი მთავარი ფიგურის, მაშინდელი მერის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ, რომელიც ამჟამად გუბერნიაში ერთ-ერთ წამყვან პოსტს ფლობს.

ხელშეკრულების ბათილად ცნობის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ასევე ისიც, რომ შპს „მადლს“ ხელშეკრულების პირობების თანახმად, 2013 წლის 31 დეკემრამდე უნდა უზრუნველეყო 10 მაღაზიის ამოქმედება, რაც არ განხორციელებულა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ხელშეკრულების გაფორმების არალეგიტიმურობის ერთ-ერთ მიზეზად ბრძანებაში მოყვანილია ქუთაისის 2011 წლის 31 აგვისტოს №126 დადგენილების მე-2 მუხლი, რომლის თანახმად, ქალაქის მთელ ტერიტორიაზე აკრძალულია პირველ კლასს დაქვემდებარებული (მასში იგულისხმება მსუბუქი კოსნტრუქციის ტიპის ჯიხურები) განთავსება.

ქუთაისის მერიის ადმინისრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსის, ირაკლი გიორგაძის ინფორმაციით, აღნიშნული ბრძანება უკვე გაეგზავა შპს „მადლის“ წარმომადგენლობას და მათ მიეცათ 10-დღიანი ვადა ქალაქის ტერიტორიიდან ჯიხურების აღებასთან დაკავშირებით.

შპს „მადლის“ ერთ-ერთი თანამფლობელი ზურაბ უჩუმბეგაშვილი მერიის მხრიდან ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევებზე საუბრობს და აცხადებს, რომ ისინი აუცილებლად შეიტანენ სარჩელს სასამართლოში მერიის წინააღმდეგ საკუთარი უფლებების დასაცავად.

„ყველა პირობა, რაც ხელშეკრულებით გვაკისრია, ჩვენი მხრიდან შესრულებულია, პირობები და ნაკისრი ვალდებულებები მათ დაარღვიეს და ჩვენ აუცილებლად ვიჩივლებთ სასამართლოში,“ — აცხადებს **უჩუმბეგაშვილი**.

მთელ ამ ეპოპეასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, პასუხგაუცემელი რჩება სრულიად ლეგიტიმური კითხვა: მაინც როდის დაარღვიეს ქუთაისელმა ჩინოვნიკებმა კანონი, როცა ჯიხურების დადგმის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, თუ მაშინ, როცა ეს ხელშეკრულება ბათილად ცნეს?

ეკა შალამბერიძე

ირაკლი ბერძენაძე:

„იმის თქმა, რომ რუსეთის ეკონომიკა ჩამოიშალა, არის აბსურდი!“

ჩამოიშალა თუ არა უკრაინის ფაქტორის გამო რუსეთის ეკონომიკა, ან განიცდის თუ არა რაიმე განსაკუთრებულ რისკფაქტორების გავლენას „დიდ დათვად“ წოდებული სახელმწიფო ფინანსური თვალსაზრისით, ამ საკითხზე გვესაუბრა ექსპერტი ირაკლი ბერძენაძე, გლობალური საკონსულტაციო კომპანია „I.B. Capital Management“-ის აღმასრულებელი დირექტორი.

აზრი იმის შესახებ, თითქოს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა ძალიან შეარყიეს რუსეთის ეკონომიკა, არის ძალიან გადაჭარბებული და, სამწუხაროდ, როდესაც აღნიშნულ პროპაგანდას ახორციელებს არა მარტო დასავლური მედია, არამედ ქართველი ექსპერტებიც, ეს არის, უბრალოდ, სამარცხვინო ფაქტი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გარკვეული რაოდენობა ადამიანებისა არ არის ჩახედული, თუ რა ხდება რეალურად. უპირველესად, უნდა დავიწყოთ იმით, რომ უკრაინას რუსეთი უფრო სჭირდება ეკონომიკური კუთხით, ვიდრე რუსეთს — უკრაინა. იმის თქმა, თითქოს უკრაინაში მოხმარებული გაზიდან შემოსავალზეა დამოკიდებული რუსული ეკონომიკა, ეს არის ძალიან არასერიოზული და არაპროფესიონალური მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი. იმის თქმა, რომ რუსეთის ეკონომიკა ჩამოიშალა, ეს არის ძალიან არასერიოზული მიდგომა. პირველივე დღეებში, უკრაინის კრიზისის დროს, მოსკოვის საფონდო ბირჟაზე დაეცა ინდექსები და ბევრი წამყვანი კომპანიის აქციები, მაგრამ ეს არის ბუნებრივი პროცესი და ნამდვილად არ მესმის, რა არის ამაში შესაშფოთებელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე თვე არ გავა, აღნიშნული სტაგნაცია არ იყოს. აქედან გამომდინარე, იმის თქმა, რომ ერთ დღეს საფონდო ბირჟაზე აქციების დაინდექსების ფასების დაცემით ჩამოიშალა ეკონომიკა, ეს არის სრულად არასერიოზული მიდგომა და არაპროფესიონალიზმი, რომელიც აყოლილია პროპაგანდისტულ მანქანას.

რუსეთის ეკონომიკა დღეს არის საკმაოდ ძლიერი. მეტიც, მას გააჩნია განუზომელი რესურსები, რომ მოახდინოს გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე. უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები: დღეს რუსეთს აქვს ყველანაირი ბერკეტი, მოახდინოს მსოფლიო სავალუტო ბირჟაზე გავლენა, რადგან ის ფლობს დოლარის საკმაოდ დიდ რეზერვებს. წარმოიდგინეთ, რუსეთმა რომ დოლარზე თქვას უარი, რაც განპირობებული იქნება აშშ-ს პოლიტიკის გამო და აღნიშნული რეზერვების გარკვეული პროცენტი გაიტანოს სავალუტო ბირჟაზე, რა მოხდება? ამერიკის

ეკონომიკას იმდენად დიდი საფრთხე დაემუქრება, რომ აღნიშნული არც ამერიკას აწყობს, არც ევროპას და, მითუმეტეს, არც მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს, რადგან ერთის მხრივ, ინფლაციის ნორმას უკვე ვერავინ დაარეგულირებს და მეორეს მხრივ, დოლარის გასაღების ბაზარს მოაკლდება ის კვოტა, რომელიც უკავია რუსეთს. ეს კი კატასტროფა იქნება მსოფლიო ეკონომიკისათვის!

ერთის მხრივ, ვერავინ დაიჭერს უკვე ნედლეულის ფასს ბირჟებზე, რადგან რუსეთი არის ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელი სხვადასხვა ნედლეულის და მეორეს მხრივ, მსოფლიო დადგება კრიზისის ქვეშ. დღეს რუსეთი (მასთან დაკავშირებული რუსული კომპანიები) ფლობენ აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებს (საერთო ღირებულებით 200 მილიარდი დოლარი), პოლიტიკური დაპირისპირების პროცესში, წარმოიდგინეთ, თუ როგორ შეუძლიათ აშშ-ს ეკონომიკაზე გავლენის მოხდენა? ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც აღნიშნული ღირებულების სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს გააუფასურებს და შეამცირებს მის ღირებულებას, უკვე კატასტროფა იქნებაამერიკის ეკონომიკისთვის და არათუ 2007-2008 წლის კრიზისის მასშტაბებზე დაბრუნდება, არამედ მონაგონიიქნება 1929 წლის ფინანსური კრიზისი, რომელმაც ამერიკის ეკონომიკა დაშალა და წლები დასჭირდა აღნიშნულის გაძლიერებას.

ამასთანავე ბევრი არ უკვირდება რუსეთის კაპიტალის გეოგრაფიულ მდებარეობას. ავიღოთ თურქეთი, თუ ვინმე დაინტერესდება თურქეთში რუსეთის კაპიტალით, ნახავს, რომ მთელი რეგიონები რუსებს აქვთ შეძენილი (ძირითადად, რუსეთის სახელმწიფო კომპანიებს) და თურქეთში მომუშავე ბანკების (გარანტი ბანკი, აკ ბანკი, დენიზ ბანკი და ა.შ.) მსხვილი მეწილეები და ზოგჯერ უკვე სრული მესაკუთრეები არიან რუსული ბანკების (ზერბანკი, ვითიბი და ა.შ.). ამასთანავე რუსეთში ამერიკული და ევროპული ბანკების კაპიტალდაბანდება არის საკმაოდ მაღალი და ისინი საკმაოდ მაღალი თანხის აკუმულირებას ახდენენ რუსული ბაზრიდან, რაზეც წარმოუდგენელია, ვინმემ უარი თქვას. უცხოური ინვესტიციების მოცულობა რუსეთის ეკონომიკაში არის 242 მილიარდი დოლარი, რომელთა დიდი ნაწილი მოდი ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ზე.

აღსანიშნავია გაზის და ნავთობის თემა, თუ გაზის თემას შევეხებით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს რუსეთი არა მხოლოდ ევროპას აწოდებს გაზს, არამედ იაპონიასაც, ჩინეთსაც.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე იმის თქმა, რომ რუსეთის ეკონომიკა ჩამოიშალა, არის აბსურდი! შემიძლია ვთქვა, რომ რუსული ეკონომიკა კი არ ჩამოიშალა, არამედ არის საკმაოდ ძლიერი და შესწევს უნარი, რომ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინოს მსოფლიო ეკონომიკაზე და ეს გავლენა დღითიდღე იზრდება!

როლანდ ხოჯანაშვილი

psnews.ge

„აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები" მე-17 საჯარო სკოლაში

2014 წლის 28 თებერვალს სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლის 11[1] კლასში ჩატარდა ისტორიის პროექტ-გაკვეთილი თემაზე „აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები". გაკვეთილი მიეძღვნა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, ჟიული შარტავას დაბადებიდან 70 წლის იუბილეს.

გაკვეთილს უძღვებოდა ისტორიის მასწავლებელი ხათუნა ჩხეტიანი. მოსწავლეებმა იმუშავეს ჯგუფებში. ისტ-ტექნოლოგიების გამოყენებით, წერილობით წყაროებთან ერთად, წარმოადგინეს სლაიდ-შოუ, ფოტო და ვიდეო-აუდიო მასალა. პრეზენტატორებმა ეკა ამბროლაძემ, ონისე ხურციძემ, ირაკლი ქურასბედიანმა ისაუბრეს აფხაზეთის ისტორიისა და დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდების ირგვლივ, გაიხსენეს ეროვნული გმირის – ჟიული შარტავას ღვაწლი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

გაკვეთილს ესწრებოდნენ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფის წევრები **ნათია მარუაშვილი, სოსო ცქიფურიშვილი, ნუნუ სეხნიაშვილი.**

უკრაინელი სტუმრები ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლაში

სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ უკრაინის ქალაქ სუმის სხვადასხვა სკოლის დირექტორები.

სტუმრები დაესწრენ ღია გაკვეთილებს: ბუნების გაკვეთილი თემაზე „ღრუბელი", პედაგოგი თამილა სვანაძე. 3[3] კლასი, მათემატიკის გაკვეთილი თემაზე „ნატურალური რიცხვების შეკრება", პედაგოგი ეკა ქართველიშვილი. 2[4] კლასი, რუსული ენის გაკვეთილი თემაზე „Виртуальное путешествие Москва-Киев-Кутаиси", პედაგოგი ქეთევან ხაზარაძე; 10[1] კლასი, რუსული ენის გაკვეთილი თემაზე „Моя квартира", პედაგოგები ირინე ბურჯალიანი, ირინა კუდრიავცევა; 7[1], 7[3] კლასი.

სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლის სპორტული დარბაზები, სამოქალაქო კლუბი, მოისმინეს მოსწავლეთა პრეზენტაციები ევროკავშირის მიერ ჩატარებული კითხვის კონკურსის ფარგლებში წაკითხული წიგნების შესახებ.

„ჩემი სახელის ისტორია"

2014 წლის 20 თებერვალს სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლის IV[3] კლასში (კლასის ხელმძღვანელი: მაკა კინწურაშვილი, ხელოვნების პედაგოგი: ციური კრავიშვილი) ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე – „ჩემი სახელის ისტორია."ბავშვებმა გააცოცხლეს ისტორიული წარსული, სახელოვანი ადამიანები, ლიტერატურული გმირები, რომელთა სახელების მატარებლებიც თავად იყვნენ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქ ქუთაისის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი ბატონი ბადრი ვაშაკიძე, რესურს-ცენტრის უფროსი სპეციალისტი, იურისტი სოფო ჯიმშელეიშვილი, №20 ბაღის მეთოდისტი, პედაგოგები, მშობლები. ღონისძიებამ მეტად თბილ და სასიამოვნო გარემოში ჩაიარა.

მოსწავლეთა თვალით დანახული სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლა

სიბრძნის ოკეანე მეტისმეტად ვრცელია იმისათვის, რომ მარტომ გაიკვალო გზა და არ დაიკარგო. ყველაზე მეტად გზამკვლევი მაშინ გვესაჭიროება, როცა პირველ ნაბიჯებს ვდგამთ ამ უსასრულო სამყაროში. ამ ერთგვარი გიდის მოვალეობას თავის თავზე იღებს სკოლა, რომელსაც მთელი ჩვენი ყრმობა უკავშირდება, რომელიც გვწვრთნის და გვაყალიბებს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

... და რადგან კარგად ვაცნობიერებთ სკოლის როლს ჩვენი, როგორც პიროვნებების აღზრდა-განათლების საქმეში, გვსურს ორიოდე სიტყვით გამოვხატოთ საკუთარი დამოკიდებულება მშობლიური, №8 საჯარო სკოლისადმი.

როგორც ამბობენ, „მასწავლებელთა საუკეთესო შემფასებლები მოსწავლეები არიან," სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, მე-8 სკოლა მკითხველისათვის იმ ჭრილში დაგვენახებინა, რომელშიც თავად ამ სკოლის აღსაზრდელები ხედავენ მას. მაშ, თვალი შევავლოთ ამ ბავშვების ცოცხალ შთაბეჭდილებებსა და წარმოდგენებს და შევაღოთ ჩვენი სკოლის მღელვარე ცხოვრების კარი.

გიორგი გურგუჩიანი, VIII კლასი: „ალბათ, მთელი ფურცელი არ მეყოფა ჩვენი სკოლის დადებითი მხარეების ჩამოსაწერად. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ყველა ბავშვს განსაკუთრებულად უყვარს დირექტორი და დიდ პატივს სცემს მას. მე-8 სკოლაში I კლასიდან ვსწავლობ და არც არასდროს მიფიქრია, დამეტოვებინა ეს თბილი გარემო, წავსულიყავი და გამეცვალა სხვა სკოლაზე."

ქეთევან ტყეშელაშვილი, XI კლასი: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სკოლა, ჯერჯერობით, ყველა სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს, ვფიქრობ, რომ ის მაინც ერთ-ერთი გამორჩეული სკოლაა ქალაქში. იშვიათად თუ მოიძებნება ასეთი კვალიფიცირებული კოლექტივი და ამხელა ენთუზიაზმით აღჭურვილი თვითმმართველობა, რომელთა თავგადადებული შრომა, მწამს, შედეგს გამოიღებს და ჩვენი სკოლა მალე მისაბაძი მაგალითი იქნება ყველასათვის, ჩვენ ამის პოტენციალი ნამდვილად გაგვაჩნია."

გიორგი აბესაძე, V კლასი: „ბევრი სასაცილო მოგონების გახსენება შემიძლია ჩემს სკოლასთან დაკავშირებით. მაგალითად, ერთხელ გაკვეთილზე ჩემს კლასელს ველაპარაკებოდი და თამილა მასწავლებელმა მკითხა: „ხელს ხომ არ გიშლიო?!" მეც გულუბრყვილოდ მივუგე: „არა, მასწ!" მთელი კლასი ახარხარდა."

იუზა ფხაკაძე, XI კლასი: „არასოდეს დამავიწყდება ერთი შემთხვევა, როცა მეორე კლასში გაკვეთილზე დავაგვიანე და კართან დირექტორი დამხვდა. დაბნეული და დარცხვენილი უცილობელი საყვედურის მოლოდინში ვცახცახებდი. მეგონა, გამიბრაზდებოდნენ, მაგრამ ამ კაცმა, ბატონ რეზოს რომ ეძახდნენ და ყველაზე სერიოზული ბიძია რომ იყო მთელ სკოლაში, მეგობრულად გადმომხედა, გამომელაპარაკა. არანაირი სიმკაცრე, არანაირი სასტიკი საყვედური, რომლისაც ასე მეშინოდა. ის ძმაკაცივით უშუალოდ და თბილად მექცეოდა. შევთანხმდით, რომ სკოლაში დაგვიანება არ შეიძლება და მას შემდეგ ერთხელაც არ შემიღია დაგვიანებით ჩემი საკლასო ოთახის კარი"

ვახტანგ პაპაშვილი, VII კლასი: „მომწონს ჩემი სკოლა და მისი ცხოვრების სტილი, ძალიან საინტერესოა ურთიერთობა უფროსებთან, რომლებიც არამხოლოდ მასწავლებლები, ჩვენი მეგობრებიც არიან. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, მეექვსე კლასში ვიყავი, როდესაც ჩემი ერთ-ერთი კლასელი აუგად მოვიხსენიე და ეს მალვინა მასწავლებელმა (ლაღიძე) გაიგო. მან, იმის მაგივრად, რომ კლასის წინაშე გავესამართლებინე, როგორც მეგობარს, ხელი ჩამჭიდა და ჩემი საქციელის ცუდი მხარე დამანახა. მას შემდეგ ჩემი მასწავლებლის მიმართ რიდი, ხოლო კლასელების მიმართ კიდევ უფრო მეტი სიყვარული გამიჩნდა."

ლეილა ჩხეტიანი, VII კლასი: „№8 საჯარო სკოლა, რომელშიც უკვე მეექვსე წელია ვსწავლობ, განსაკუთრებულია თავისი მზრუნველი, მეგობრული, საინტერესო სამყაროთი, მუდამ მოფუსფუსე მასწავლებლებით, რომლებიც ზრუნავენ იმაზე, რომ სწავლის პროცესი სასიამოვნო იყოს, მათი პროფესიონალიზმის წყალობით ყოველდღე მიხარია სკოლაში მოსვლა, აქ ხომ მომაბეზრებელი გაკვეთილების ნაცვლად საოცრად მხიარული და თბილი სამყარო გვხვდება."

მირონის სირბილაძე, X კლასი: „ჩვენი სკოლის საამაყო აღზრდილებიდან არ შემიძლია, არ აღვნიშნო რეზო ჭეიშვილი, რომელთანაც შეხვედრის უდიდესი პატივი გვხვდა წილად მე-8 სკოლის აღსაზრდელებს. ის სიყვარულით იხსენებდა წლებს, რომლებიც მშობლიურ სკოლასთან აკავშირებდა, მან სიამოვნებით გადაგვიშალა გული და ჩვენც ჩაგვითრია თავისი ბავშვობის ტკბილ მოგონებათა მორევში. თავის მხრივ ჩვენც საზეიმო დახვედრა მოვუწყვეთ და ყველანაირად შევეცადეთ, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი წარმოგვეჩინა.

ნიკა ვარდანიძე, VII კლასი: „ჩვენი სკოლის ერთ-ერთ ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მუდამ ხელმისაწვდომია ნებისმიერი ჩვენგანისთვის. ბიბლიოთეკაში შესვლა ყოველთვის გვიხარია, რადგან ვიცით, რომ აქ დაგხვდება მაია მასწავლებელი — ჩვენი ბიბლიოთეკარი და სწორედ ისეთ წიგნს შეგვირჩევს, რომლითაც უთუოდ კმაყოფილები დავრჩებით."

ანა ჭელიძე, IX კლასი: „მამული, ენა, სარწმუნოება" — მერვე სკოლა სწორედ ის ადგილია, რომელიც ამ სამი საუნჯის სიყვარულს, პატივისცემას გვინერგავს და მის მოვლა-პატრონობას გვიქადაგებს. მოხარული ვარ, რომ ჩვენს სკოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ აღზრდას, რასაც ყოველკვირეული პარაკლისები ადასტურებს."

ლია ჩხეტიანი, X კლასი: „როცა მე-7 კლასში პირველად მოვედი მერვე სკოლაში, ბუნებრივია, ძალიან ვღელავდი და მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის მასპინძელი გარემო, თუმცა, საბედნიეროდ, ჩემი იმედები გამართლდა. თუმცა, მინდა გავიხსენო ერთი კურიოზი გეოგრაფიის მასწავლებლის, ნარინი ყიფიანის შესახებ. როდესაც ის პირველად შემოვიდა საკლასო ოთახში, მომეჩვენა, რომ მკაცრი სახე და შეკრული წარბები ჰქონდა. მაგიდას რომ მიუჯდა და დიდი, მრგვალი სათვალეები გაიკეთა, ხელში რუკის საჩვენებელი ჯოხი აიღო და გამომხედა, „ეს ახალი გოგონა ვინ არისო", მაშინ კი ძალიან დავიბენი და ავლუღლუღდი. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ შევმცდარვარ, ნარინი მასწავლებელი ერთ-ერთი ყველაზე კეთილი, მხიარული და მეგობრული მასწავლებელი აღმოჩნდა და მე ის განსაკუთრებულად მიყვარს."

ანა ხეცურიანი, VI კლასი: „მერვე საჯარო სკოლაში, სადაც უკვე მეექვსე წელია ვსწავლობ, ბევრი კურიოზი გადაგვხდა. ერთ დღეს ნუგეშა მასწავლებელმა ჩემი ამხანაგი დაფასთან გამოიძახა და გაკვეთილის მოყოლა სთხოვა. მან თხრობა დაიწყო და თქვა: „ტახი „რაზგონს" აიღებს და მსხვერპლს თავს ისე დაესხმებაო". ჩვენ მის ნათქვამზე ბევრი ვიცინეთ."

მასალები შეკრიბეს X კლასის მოსწავლეებმა: **ნინო გაბელაშვილმა და მარიამ ნებიერიძემ**

დები ჩხეტიანები №8 სკოლიდან

„მე მინდა, ოქროს მედალი მივიღო!" — რამდენიმე წლის წინ მიპასუხა სიფრიფანა, ფერმკრთალი პირისახის მეხუთეკლასელმა გოგონამ, სახელად ლეილა, როცა პირველ გაკვეთილზე კლასს შეკითხვა დავუსვი – რა არის თქვენი ყველაზე დიდი სურვილი-მეთქი? როგორც მოგვიანებით გავიგე, იგი მასზე სამი წლით უფროსი ლია ჩხეტიანის და ყოფილა. ლეილა დღეს VII კლასის მოსწავლეა და უკვე მჯერა, რომ პატარა გოგონას ბავშვური გულახდილობით გამხელილი სურვილი, ადრე თუ გვიან, რეალობად იქცევა, რადგან ბუნებამ ნიჭიერებასთან ერთად შრომისმოყვარეობით, გონიერებით, მიზანდასახულობითა და კეთილბუნებოვნებით უხვად დააჯილდოვა დები.

გაკვეთილზე არაერთხელ შემინიშნავს უფროსი დის — ლიას (X კლასი) იდეით სავსე თვალები, მრავალჯერ გავუოცებივარ მის ასაკისათვის უჩვეულოდ სიღრმისეულ პასუხს, უშრეტ ინტერესს არამხოლოდ კონკრეტული საგაკვეთილო მასალის, არამედ ბევრი სხვა სფეროს მიმართ. იგი სკოლის სახელით ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა სახის აქტივობებში. ახლახან ეროვნული ოლიმპიადის III ტურის მონაწილე გახდა სამ საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ბიოლოგია).

ლია

ლეილა

სალომე

ეკატერინე

რაც შეეხება ლეილას, იგი კლასის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, ამას სხვა პედაგოგების მიერ მისი მისამართით გამოთქმული მოსაზრებები კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ადასტურებს. მსგავსი მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესს საინტერესოს, მასწავლებელს კი უფრო მოტივირებულს ხდიან.

მათი უმცროსი დებიც — ეკატერინე (I კლასი) და სალომე (III კლასი) ღირსეულად მიუყვებიან წინსვლისა და წარმატებისკენ მიმავალ მათ კვალს და გენეტიკურ დონეზე გამოვლენილი ნიჭიერებით აოცებენ თავიანთ პედაგოგებს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ გამორჩეული ბავშვები სკოლის სიამაყეს წარმოადგენენ. ყველა პედაგოგი კი, ვინც ვალდებულებას იღებს, მოსწავლის აღზრდა-განვითარების საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანოს, ძალას არასდროს დაიშურებს მათი ნიჭიერებისა და განსაკუთრებულობის წარმოჩენისათვის, რათა ერთ დღესაც სიხარულით და სიამაყით წარმოთქვას: „მე მას ვასწავლიდი".

ლიკა ჯაფარიძე
სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი

საარჩევნო კოდექსი პარლამენტმა უკვე მიიღო

„ცვლილებები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საარჩევნო გარემოს, თუმცა, სასურველი იქნებოდა, კიდევ რამდენიმე საკითხი ასახულიყო კოდექსში"

„საარჩევნო კოდექსში" შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტმა მესამე მოსმენით, 80 ხმით, ერთხმად დაამტკიცა. რამდენიმე პრინციპულ საკითხზე უმრავლესობა-უმცირესობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის შეთანხმება მოხერხდა, თუმცა, დარჩა საკითხები, რომელიც კოდექსში ვერ აისახა.

საარჩევნო კანონმდებლობის გარდა, ცვლილებები განხორციელდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" და „მაუწყებლობის შესახებ" კანონებში.

წარმოდგენილი ცვლილებების ძირითადი ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ეხება.

დამტკიცებულ პროექტში აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი პირების, თვითმმართველ თემში — გამგებლის, ხოლო თვითმმართველ ქალაქში — მერის პირდაპირი არჩევის წესია განსაზღვრული. მათ 50%-იანი საარჩევნო ბარიერით, ოთხი წლის ვადით აირჩევენ.

ამავე ცვლილებებით, თვითმმართველი თემის საკრებულოს პროპორციული წესით ასარჩევ საკრებულოს წევრთა რაოდენობა 5-ით იზრდება და 15 ხდება.

ასევე, მუნიციპალიტეტების საკრებულოს პროპორციულ არჩევნებში საარჩევნო ბარიერი 4%-მდე მცირდება და თბილისის საკრებულოს პროპორციული არჩევნებისთვის დადგენილ საარჩევნო ბარიერს უთანაბრდება.

საარჩევნო სიების დაზუსტება მოხდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებულ პირთა ფოტოსურათების ციფრულ ფორმატში გადაყვანით და ფოტოსურათების ურთიერთშედარებით, ამომრჩეველთა გაორების გამოსარიცხად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმირებისთვის და მათი არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მოხდება საარჩევნო უბნების ადაპტირება. წინასაარჩევნო რეკლამა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე სატელევიზიო დებატები უზრუნველყოფილი იქნება სურდო-თარგმანით.

ამასთან, უახლოეს დღეებში პარლამენტს საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი კიდევ ერთი ცვლილებების პროექტი წარედგინება. ახალი ცვლილებები საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ვერიფიკაციასთან და წინასაარჩევნო პერიოდში საბიუჯეტო სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელის, პარლამენტარ ზვიად ძიძიგურის განმარტებით, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის საკითხი (ამომრჩევლის იდენტობის დადგენა) ცესკო-ს დადგენილებით უნდა განსაზღვრულიყო, მაგრამ ცესკო-ს რეკომენდაციაა, რომ საკითხი „საარჩევნო კოდექსში" აისახოს.

„ცესკო-ს აქვს შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, რა შემთხვევაში უნდა მიეცეს საარჩევნო ბიულეტენი ამომრჩეველს და რა შემთხვევაში — არა. ვერიფიკაციის თაობაზე „საარჩევნო კოდექსში დამატებით იქნება ინიცირებული ცვლილებები", — აღნიშნა ძიძიგურმა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ირმა პავლიაშვილი მიიჩნევს, რომ კოდექსში შეტანილი ცვლილებები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საარჩევნო გარემოს, თუმცა არის კიდევ რამდენიმე საკითხი, რომელიც სასურველი იქნებოდა აღნიშნულ კოდექსში ასახულიყო:

„ყველაზე მნიშვნელოვანი საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებში მერებისა და გამგებლების არჩევისას დასაწესებელი ბარიერი იყო, რაზეც საბოლოოდ გადაწყდა, რომ 50% იქნება. ამასთან, მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა მრავალმანდატიანი ოლქების დაკომპლექტება და მერებისა და გამგებლებისთვის ალტერნატიული კენჭისყრის შემოღება. ალტერნატიული კენჭისყრა თავის თავში ორ ტურს მოიცავს, სადაც მოხდებოდა პრეფერენციების დასმა ამომრჩევლების მხრიდან. შესაბამისად, ეს მეორე ტურების ალბათობას გამორიცხავდა. თუმცა, იმ შენიშვნების გათვალისწინება, რომელიც ძირეულად შეცვლიდა სისტემას და უფრო სამართლიანს გახდიდა, არ მოხდა. მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება კოდექსში ისაა, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სამაგიდო სიები ფოტოსურათებით იქნება, რაც გაორებებს გამორიცხავს. საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული იყო, რომ ბიომეტრიული მონაცემებით უნდა მომხდარიყო ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტება და ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია განხორციელებულიყო. ის ამომრჩეველი კი, რომელიც ბიომეტრიულ რეგისტრაციას ვერ გაივლიდა, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ამ შემთხვევაში ცვლილებები განხორციელდა და ინიცირების დროს პროექტში განისაზღვრა, რომ მოხდება არა ბიომეტრიული ფოტოების გადაღება, არამედ, სერვისების განვითარების სახელმწიფო სააგენტო ბაზაში არსებულ ამომრჩეველთა უკანასკნელ ფოტოს გადაიყვანს ციფრულ ფორმატში და სიას დაერთვება. ეს კი გაორებებს გამორიცხავს. თუმცა, ეს იქნება მხოლოდ სამაგიდო ვერსიაში და არა საჯარო კედლის სიაში", — აღნიშნავს პავლიაშვილი და განმარტავს, რომ პრობლემა არც იმ ამომრჩევლებს შეექმნებათ, რომლებსაც პლასტიკური პირადობის მოწმობები არ აქვთ.

„იუსტიციის სამინისტრომ გააკეთა პროექტის პრეზენტაცია, რომელიც სპეციალური პროგრამის მეშვეობით გააციფრულებს ნებისმიერ ფოტოს, რაც ბაზაშია მითითებული. ძველი პირადობის ფოტოსაც კი გადაიყვანენ ციფრულ ფორმატში. ამის შემდეგ ჩაერთვება უკვე ადამიანური ფაქტორი, კორექტორები შეამოწმებენ ფოტოსურათებს და გამორიცხავენ გაორებას. მომდევნო ეტაპზე ტერიტორიული ორგანოები გადაამოწმებენ სიას და აღმოჩენის შემთხვევაში, გაორებას გააბათილებენ. როგორც აგვიხსნეს, გაციფრულების პროცესში სწორედ ბიომეტრიულ მონაცემებს მიექცევა ყურადღება, ყურებს, ნიკაპის მოყვანილობას, თვალებს შორის მანძილს და ა.შ. ერთადერთი განსხვავება ამ შემთხვევაში ის არის, რომ ბიომეტრიული სიების შედგენისას დამატებითი მოთხოვნა იყო, რომ ყოფილიყო წინასწარი რეგისტრაცია, რაც ახლა გამორიცხულია", — ამბობს პავლიაშვილი.

ამ ცვლილებებთან ერთად, იურისტი კიდევ რამდენიმე საკითხს გამოყოფს, რასაც დადებითად აფასებს.

„მნიშვნელოვანია ასევე, პოლიციის თანამშრომლებისთვის ხმის მიცემის საკითხის განსაზღვრა. ეს ეხება შსს-ს თანამშრომლებს (გასამხედროებულ ნაწილებს), რომელთა რეგისტრაციის ადგილი განსხვავდება დისლოკაციის ადგილისგან. მათ არ აქვთ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის მიღების, ასევე საკრებულოების და მერების არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. გარკვეულწილად, ეს ლოგიკურიც არის და მათი უფლებები არ იზღუდება, რადგან თუ ერთი ან რამდენიმე წელი არ ვიმყოფები ჩემი რეგისტრაციის ადგილზე, მაშინ არ უნდა მივიღო მონაწილეობა იმ თვითმმართველობის დაკომპლექტებაში, სადაც არ ვარ. თუ პირის რეგისტრაციის და დისლოკაციის ადგილი ერთმანეთს ემთხვევა, ის არჩევნებში მონაწილეობას ჩვეულებრივ მიიღებს. გარდა აღნიშნულისა, კოდექსში კიდევ რამდენიმე ცვლილება შევიდა, რაც ეხება საარჩევნო უბანში ბეჭდებზე ნაკვეთურების გაუქმებას, ამასთან დაწესდა მედიარეგულაციები, რაც უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებას ეხება. ასევე, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც 3%-ზე მეტ ხმას დააგროვებს, ერთჯერად დაფინანსებას — 500 ათას ლარს მიიღებს.

ცვლილებებია დავების განხილვასთან დაკავშირებით: საჩივარი აქამდე 3 დღის ვადაში განიხილებოდა, შემდგომ ოლქში იგზავნებოდა. ახლა ორი დღის გასაჩივრების ვადაა კოდექსში და ცესკო-ს ინიციატივით, 2 დღე დაემატა განხილვისთვის", — აღნიშნავს პავლიაშვილი.

რაც შეეხება საკითხს, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება მერობის კანდიდატი ასევე საკრებულოს პირველი ნომერი იყოს, იურისტი აცხადებს, რომ ეს შეზღუდვა კანონიერია და მათთვის მისაღებია.

„როდესაც ეს საკითხი შევაფასეთ, მივიჩნიეთ, რომ ეს ლოგიკური შეზღუდვა იყო. თავდაპირველად, შეზღუდვა მხოლოდ თბილისის მერის არჩევისას წესდებოდა — მერობის კანდიდატი საკრებულოს პირველ ნომრადაც კენჭს ვერ იყრიდა. რომ არ მოხდეს ერთი და იგივე კანდიდატურის დაყენება, ლოგიკური შეზღუდვაა იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ გამგებელი/მერი და საკრებულო სხვადასხვა ორგანოებია — აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი.

მნიშვნელოვანი იქნებოდა მერების და გამგებლების კანდიდატურის დაყენების უფლება საინიციატივო ჯგუფებსაც მისცემოდა, რაც, სამწუხაროდ, კანონმდებლებმა არ გაითვალისწინეს. ახლა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიას და საარჩევნო ბლოკს აქვს კანდიდატურის წარდგენის უფლება. თუმცა, ეს შეზღუდვა საკრებულოზე არ ვრცელდება და საინიციატივო ჯგუფს იქ შეუძლია დამოუკიდებელი კანდიდატურის დაყენება. ეს საკითხი ვენეციის კომისიის დასკვნაშიც იყო წარმოდგენილი, მაგრამ ამის გათვალისწინება არ მოხდა", — აცხადებს პავლიაშვილი.

შეგახსენებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღად საქართველოს პრეზიდენტმა 15 ივნისი დაასახელა, თუმცა, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, მის დამტკიცებამდე და პრეზიდენტის ხელმოწერამდე თარიღი ოფიციალურად დანიშნული არ არის.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ინიშნება საკრებულოს უფლებამოსილების ამოწურვამდე არაუგვიანეს 60 დღისა. ეს ვადა კი 17 აპრილს იწურება.

მოამზადა საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრმა (GMMC), ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველოს" მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის მოსაზრებებს.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რას წერდა „საბჭოთა აფხაზეთი" ქართველი მეთევზეების შესახებ

ეძღვნება აფხაზეთის მკვიდრ როლანდ ხარჩილავას ხსოვნას

აფხაზეთის ომის შესახებ ბევრი რამ გვსმენია, დღემდე საკამათო თემაა იძულებით გადაადგილებული ოჯახების დაბრუნება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც იმედის თვალით ხედავენ მომავალს, ისინი თვლიან, რომ უფროსი თაობა თუ არა, ჩვენი შვილიშვილები და შვილთაშვილები გამრავლებული და გაასმაგებულები დაბრუნდებიან მამაპაპისეულ მიწაზე.

„ღმერთმა გვაღირსოს, ბებო, აფხაზეთში დაბრუნება", — ამბობს 85 წლის მოხუცი ქალბატონი ეთერ ჟვანია-ხარჩილავა.

2011 წლის შემოდგომაზე, როდესაც ეთერი ბებოს უსაყვარლესმა შვილიშვილმა, მამუკა (მამანტი) ხარჩილავამ დაოჯახება გადაწყვიტა, მითხრა, რომ პირველად ჩვენს სანათესაოში ყველაზე უფროს და საყვარელ ბებოს გამაცნობდა, მე კი იმერულად ვუპასუხე: ჟვანიას ქალბატონმა რომ არ დამიწუნოს, შეხვედრისთანავე მეგრულ ენაზე მოვიკითხავ და მოვესიყვარულებითქო.

ბებომ ძალიან თბილად მიგვიღო, მიმიხვდა იმერულ ხუმრობას და ისიც გამხიარულდა ჩვენთან ერთად. მანაც გაიხსენა ახალგაზრდობის ტკბილი თუ სევდიანი თავგადასავლები. ძალიან ვიხალისეთ, როცა ყვებოდა, მამუკას მამას, როლანდ ხარჩილავას როგორ შეუურჩია საცოლე. როლანდის მესამე შვილის, ვაჟის, მამუკას დაბადებას როგორ ზეიმობდნენ სოხუმში. ბებო იხსენებს: ჩემმა მეუღლემ — იმენია ხარჩილავამ — ისეთი დიდი სუფრა გაშალა, სოხუმი და მთელი სანათესავო 3 დღის განმავლობაში ქეიფობდაო, თითქმის ეს სუფრა ქორწილის ტოლფასი იყოო.

ბებო ყოჩაღი ქალბატონი იქნებოდა და ამიტომაც ზრდიდა 5 შვილს: 3 ვაჟს და 2 ქალიშვილს.

ამ ხუმრობაში ბებოს თვალზე ცრემლიც მოადგა და ჩაფიქრდა: ეს ცხოვრება ვის რას უმზადებს, რას გაიგებ. გაიხსენა სოხუმის კარ-მიდამო, მაიაკში, ბზიფის მე-2 შესახვევი №9, რომელსაც ომის დროს შეგნებულად არ ტოვებდნენ, რადგან უცხო პირებმა მათი ერთი ვაჟი, გიორგი (ჟორა) ხარჩილავა, თავზე ტომარაჩამოცმული, საკუთარი ეზოდან გაიტაცეს. შვილის მოლოდინში აფხაზებს მისი ხელით ჩაულაგეს, თუ რაიმე ქონება გააჩნდათ ოჯახში, იმის იმედად, რომ შვილს ცოცხალს დაუბრუნებდნენ. მაგრამ აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, ეთერი და იმენია ხარჩილავები იძულებული გახდნენ, რომ გადმოსულიყვნენ სამშვიდობოს. ნაწამებმა და განადგურებულებმა აფხაზეთის დაცემიდან ერთი წლის შემდეგ დატოვეს სოხუმი. მხოლოდ ოჯახის სამახსოვრო ალბომი და ჩანაწერები გადაარჩინეს.

ბებომ მწუხარებით გაიხსენა მეორე შვილი, როლანდ ხარჩილავა, რომელიც ომამდე, 40 წლის ასაკში, მოულოდნელად გარდაიცვალა, ყვებოდა მის წარმატებაზე, თუ როგორი რთული გზა გამოიარა მეთევზეობიდან კაპიტნობამდე, მაგრამ გემზე ცუდად გამხდარს სანაპიროამდე ძლივს მიუღწევია და საავადმყოფოში მისვლისთანავე გარდაცვლილა ეს ორმეტრიანი, კალათბურთელივით ასხლეტილი, გიგანტი ვაჟკაცი. მის დაკრძალვაზე მთელი სოხუმი ფეხზე იდგა თურმე და მოქალაქეებთან ერთად, 100-მდე გემი მოადგა სხვადასხვა საპორტო ქალაქიდან სოხუმის სანაპიროს. გემების შემზარავი ყვირილის ხმით მიაცილებდნენ გემის კაპიტანს, როლანდ იმენიას ძე ხარჩილავას გურლიფში, სამუდამო განსასვენებლისკენ.

ვფიქრობ, რომ ეს ადამიანები იმ დროის გმირები იყვნენ და ნამდვილად უნდა დარჩნენ შთამომავლობას ლეგენდად.

4 თვის წინ, ეთერი ბებომ გადმომცა 1976 წლის 18 მარტს დაბეჭდილი გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი", სადაც როლანდ ხარჩილავას და მის გუნდზე საინტერესო ნარკვევია გამოქვეყნებული – **„მეთევზეები ხმელეთზე დაბრუნდნენ".** მისი თხოვნაა, რომ ამ გახუნებული გაზეთიდან კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის ადამიანები, რომელთა შესახებაც ამ ნარკვევშია საუბარი. მიცვალებულთა ხსოვნის კვირაში ამ ადამიანების გახსენება, უდავოდ, აუცილებლობას წარმოადგენს.

როლანდ ხარჩილავა

მეთევზეები ხმელეთზე დაბრუნდნენ

ნარკვევი

კალათბურთელივით ასხლეტილი, ბარე ორი მეტრი სიმაღლის რომ იქნებოდა, სოხუმის მეთევზეთა კოლმეურნეობაში გამაცვნეს. ბრიგადის წევრებს შორის იდგა გიგანტივით კაცი, ცალი ხელი ჯიბეში ჩაეყო, მეორეში კი სიგარეტი ეჭირა და იშვიათად თუ გაიჩრიდა კბილებში, მაგრამ ისე ღრმად ურტყ ამდა ნაფაზს, გეგონებოდათ, სიგარეტს დიდი ხნის მონატრებულიაო. ეზოში არნახული ფაციფუცი იყო, როგორც ჩანდა, 2-3 დღის უამინდობის შემდეგ მეთევზეებს შინ უსაქმოდ ჯდომა საშინლად მოყირჭოდათ. ყოველდღე შრომას მიჩვეულ კაცს, მართლაც აგექავება ხელის გულები. ყველა გამრჯე ვაჟკაცს ემართება ეგრე, მეთევზეებს კი ზღვაზე გასვლის მოუსვენარი ჟინი მუდამდღე უღრნის გულს, სიმშვიდეს უკარგავს.

ვიღაცამ დაიყვირა, აბა, მოვემზადოთო. მეთევზეები საგარდერობო შენობას მიაწყდნენ, აჩოჩქოლდნენ, გამხიარულდნენ. პატარა რიგიც შეიქმნა. ერთმანეთს არ აცლიდნენ კარებში შესვლას, ჩქარობდნენ. მატარებლის გასვლის წინ მგზავრებმა რომ იციან, ისე. იმ გიგანტმა, კალათბურთელს რომ ჰგავდა, ხელი დამიქნია. უკან გავედევნე. დინჯად მიალაჯებდა. რიგი გაარღვია. უცხო რომ დამინახეს, გზა დამითმეს. ვიღაცამ ხუმრობით გასძახა მეგარდერობეს: — არ შეგეშალოს და როლანდი ხარჩილავას ტანსაცმელი სხვას არ მიაწოდოო, სახლში წაიღებს და ერთის მაგივრად ორს გამოჭრისო.

დაბამბული შარვალი ჩავიცვი, ბუშლატი მოვირგე, მერე რეზინის ჩექმებიც. ზედ მეთევზის ლაბადა მოვისხი. როლანდ ხარჩილავაც გამოეწყო მეთევზის ტანსაცმელში, მას ულვაშებში ეღიმებოდა. მივხვდი, რაზედაც ეღიმებოდა, მაგრამ არ შევიმჩნიე. ისე გავიჯგიმე „ახალ ამპლუაში", თითქოს ჭიპი ზღვაზე მომეჭრას და გამოცდილი მეთევზე ვყოფილიყავი. კაპიტან-ბრიგადირი ამირან ქაროსანიძე, მისი 12 ამხანაგი და ერთი ახალბედა მეთევზე, ე.ი. მე, სეინერზე მოვთავსდით. ოთხის ნახევარი იყო, რბილი ნიავი უბერავდა, მარტის მზე უნიათოდ ლიცლიცებდა მრუმე ზღვის ტალღებზე. ნავმისადგომის ბოძიდან ბაგირი ახსნეს. სეინერზე წყალი ადგაფუნდა, ეს ხმა გახურებული თუნუქის სახურავზე მტრედების გუნდი რომ შემოჯდება, იმ ხმაურს ჰგავდა. სეინერმა კოდორის მიდამოებისკენ აიღო გეზი, უკან დარჩა გრძელი და ლურჯი ბილიკი. იმ ბილიკზე თოლიები ისხდნენ, ნელ-ნელა გავცდით სანაპიროს. აქედან უფრო მკაფიოდ მოჩანდა ალაგ-ალაგ თოვლის თეთრი ზოლებით დასერილი მთები.

კაპიტან-ბრიგადირი ბოგურაზე ავიდა. ზედაპირს გახედა. ბიჭებიც ავიდნენ ზევით, კაპიტანს გვერდში ამოუდგნენ. მე გემბანზე დავრჩი, როლანდი კაპიტნის ბუგურიდან მალე დაბრუნდა, არ მოიწყინოო, — მითხრა.

— საინტერესო პროფესიაა, — ვთქვი მე. როლანდიმ მიპასუხა, საინტერესო კი არის, მაგრამ მეტისმეტად ძნელიაო.

— მაინც რითია ძნელი?

— დღე და ღამე ზღვაში ხარ, იღლება კაცი!

— დაღლა სულაც არ გეტყობა, ალბათ, ახალი მოსული ხარ კოლმეურნეობაში.

— ახალიო? არა! 1969 წლიდან ვმუშაობ... ჰო, თუმცა ორი წელი არმიაში ვიმსახურე, იქიდან 1968 წელს დავბრუნდი და ისევ მეთევზეობას მივყავი ხელი. თორმეტი წლის სტაჟი მაქვს...

— რას ამბობ! მე უფრო ახალგაზრდა მეგონე. რა იყო, შე კაცო, აკვნიდან პირდაპირ აქ მოხვედი?

— აკვნიდან არა, მაგრამ 8 წლიდან – კი. არ დაგიმალავ, სწავლაში ვერ ვიყავი მაინცდამაინც გამორჩეული, მამაჩემს შეეშინდა, უსაქმურებს არ აჰყვესო. თვითონ მუშაობდა, დურგალი იყო, ახლა პენსიაზეა და მამაჩემმა მომიყვანა.

— არ გაგიჭირდა მუშაობა?

— გამიჭირდა რომელია, გაქცევაზე მეჭირა თვალი. მერე და მერე შევეჩვიე აქაურობას. ახლა ერთი დღეც არ შემიძლია ბიჭების გარეშე.

ცოტა აცივდა. მზე დაშვებულიყო და ცის კიდური მარწყვისფრად შეეღება. ლაბადაში გავეხვიე. ქალაქი უკვე აღარ ჩანდა. როლანდიმ თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია, მერე მომიბრუნდა და სინანულით მითხრა: ცის დასავალი ძალიან რომ გაწითლდება, გაავდრებაა მოსალოდნელიო. დასავლეთის მხარეს გავხედე. იქიდან ღრუბლები მოზოზინებდნენ. მათ უკვე გაეხვიათ ჩამავალი მზე თავიანთ ბლონდში. ამინდს, მართლაც, არ უჩანდა კარგი პირი.

— თევზს ბევრს იჭერთ ხოლმე?

— ბევრს. მე-9 ხუთწლედის გეგმა ჯერ კიდევ 1973 წლის თებერვალში შევასრულეთ. ახლა 1978 წლის ანგარიშში ვმუშაობთ.

ვიღაც უცნობი მოგვიახლოვდა. როლანდიმ მკლავი მხარზე გადადო მოსულს, ჩემი სკოლის ამხანაგიაო, მითხრა.

შოთა ბობოხიძე — გამეცნო ახლად მოსული. — შოთაც 8 წლიდან მოვიდა? ვკითხე მე — ჰო, 8 წლიდან. 8 კლასის დამთავრების შემდეგ აქ ვმუშაობთ, თან საღამოს სკოლაში ვსწავლობდით. დიდი ხანია, რაც სკოლა დავამთავრეთ.

— ვერ მოვიცალეთ, თორემ არც ინსტიტუტში სწავლაც გვაწყენდა. როლანდი საკაპიტნო კურსებზე აპირებს სწავლის გაგრძელებას. როლანდიმ ბიჭებს გასძახა, მერე მომიბრუნდა და მეუბნება, მაგარი ბიჭები არიან, ნამდვილი მეზღვაურები: იმედი ფოჩხუა, მურმან შაუთიძე, გიორგი ბახტიაროვი. დანარჩენებს დრო არ ჰქონდათ, სეინერის უკანა ნაწილზე კიჩოზე იდგნენ და ბადეს დასტრიალებდნენ.

— ერთი რამ მაინტერესებს — ვეკითხები როლანდის: შვილებს თუ მოიყვან სეინერზე? მეთევზედ თუ გაზრდი მემკვიდრეებს?

— შვილებსო? — გაიცინა მურმანმა. — **როლანდის ორი გოგო და ერთი ბიჭი (მამანტი ხარჩილავა) ჰყავს. ბიჭს, ალბათ, მოიყვანს... — გოგოები არ დამანახო აქ, თუ ძმა ხარ, როლანდ. დაამატა იმედა ფოჩხუამ. გოგოებს სეინერზე რა უნდათ. პიანინოზე დაკვრა ასწავლე, ღომის მოზელვა ასწავლე, სიმღერა, ცეკვა...** და ფეხის წვერებზე შედგა, ცეკვა დაუარა, აი, „გედის ტბაში" მომაკვდავი გედის ცეკვას რომ ასრულებენ,ისე.

— ასეა ძმაო, — ალაპარაკდა როლანდი, — აქ ნამდვილი ვაჟკაცებია საჭირო. ამ ბიჭებს რომ უყურებ, პირველი კვარტლის ნორმა აქვთ შესრულებული.

— ისე ამბობ — თქვა შოთამ — თითქოს შენ შორიდან გვიცქეროდე, — მერე შოთა მომიბრუნდა, — კარგი მეთევზეა. 1973 წელს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მიანიჭეს, განა ისე მიანიჭეს, ტყვილა... ორი კაცის საქმეს აკეთებს.

— კარგი, კარგი, თუ ძმა ხარ! — ხმაში ბრაზი დაეტყო როლანდის. — ეგეთები არ იყოს, ქება და დიდება რად გვინდა!

თითქოს ჯიბრში ჩაუდგაო, ახლა იმედი ფოჩხუამ გააგრძელა, — შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის ნიშნით დაჯილდოვდაო.

კაპიტან-ბრიგადირს ჩვენი საუბარი არ ესმოდა, მაგრამ, ალბათ, გუმანით მიგვიხვდა და ბიჭებს ჩამოსძახა, ეგ უცხო კაცი მოახედეთო. რომ მივტრიალდი, ცერა თითი ზე აწია, როლანდიზე მიმანიშნა, მაგარი ვინმეაო.

კაპიტან-ბრიგადირმა ხელი დაგვიქნია. როლანდი წინ გაგვიძღვა. ზევით ავედით, კაპიტნის ბუგურაზე, იქიდან მშვენივრად მოჩანდა, თუ როგორ შრიალით მიაპობდა სეინერი ჩაკუპრებულ ზღვას. ანძაზე, კიჩოსა და ბოგურაზე ნათურები ციმციმებდნენ, კაპიტანი ზედაპირს გასცქეროდა, იქვე იყო თევზსაძებნი აპარატი, რომლის ციფერბლატზე შავი ისარი შეუჩერებლივ ტრიალებდა. ჯერჯერობით, თევზი არ ჩანდა.

მოიღრუბლა.

— თოლიები მომრავლდნენ — მეუბნება როლანდი, — ჯგროდ რომ დასხდებიან წყალზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ახლოს თევზია...

ისარი ნელ-ნელა ჩერდება.

— თევზია, თევზი! — აღმოხდათ ბიჭებს.

ვიჩქაროთ, ამინდი ფუჭდება! — თქვა კაპიტანმა და განკარგულება გასცა, ბადე გადააგდეთო. სეინერმა სვლა შეანელა, მერე შედგა. როლანდი მეუბნება, სეინერი 3 საათი უნდა იდგეს ადგილზეო. ამ ხნის განმავლობაში ბადე თევზით გაივსებაო. მეთევზეები გემბანზე დგანან, სახეები უბრწყინავთ, გიორგი ბუხტიაროვი კაპიტანს მიუახლოვდა, ეუბნება: ხმელეთიდან გადმოგვცეს, ხარიშხალია მოსალოდნელიო. კაპიტანს სახე მოღუშა. განკარგულება გასცა, კიჩოსკენ გასწით ბიჭებოო.

რას ნიშნავს ეს განკარგულება? — ვეკითხები როლანდის.

— უამინდობის დროს ამწე კოშკურა ვერ ერევა სავსე ბადეს, ჩვენ უნდა წავეხმაროთ.

ქარიშხალი უცაბედად ამოვარდა. ჯერ ტალღები აფაფრა, ნაპირისაკენ გაირეკა, მერე მძლავრად აგუგუნდა და სეინერი შეაქანა, აუჭრიალა.

კაპიტან-ბრიგადირი კიჩოზე იდგა. ბიჭები ბაგირებს ექაჩებოდნენ. ბლოკი ტრიალებდა და ღრჭიალი გაუდიოდა, ბაგირს მძიმე-მძიმედ ახვევდა. მეთევზეები დაძაბულნი და სახე გამეხებულნი ებრძოდნენ სტიქიას.

— ვიჩქაროთ, ბიჭებო, თევზი არ დავღუპოთ, — ომახიანად გასძახა როლანდიმ ბიჭებს, - ბადე არ დაგვიხიოს ქარიშხალმა, — და ვეება ხელები ბაგირს ჩასჭიდა. ბადე ღრმად ჩაეშვათ წყალში და ახლა მძიმე-მძიმედ ამოჰქონდათ, დიდი გაჭირვებით და ვაებით.

„თევზის დაღუპვა" რას ნიშნავს-მეთქი, ვკითხე როლანდის. ამიხსნა — ბადის ჩაშვების შემდეგ ქარიშხალი თუ ამოვარდა, მისი ზედაპირზე ამოზიდვა მეტად საძნელო საქმეა, უმეტეს წილად თევზს ზღვაში ტოვებენ მაშინ, ამას „თევზის დაღუპვა" ჰქვია,თურმე, მეთევზეთა ენაზე.

შორს გაჩირაღდნებული დიდი გემი მიაპობდა ზღვის აბობოქრებულ სტიქიას. იქიდან მუსიკის ჰანგები მოისმოდა. ასეა ყოველთვის, ხმელეთთან მიახლოებისას ეკიპაჟს განსაკუთრებული სიხარული და საზეიმო განწყობილება ეუფლება.

გემი თვალს რომ მიეფარა, პატარა სეინერი გამოჩნდა. როლანდიმ ჩაილაპარაკა, ალექსანდრე აქსიონოვის სეინერი ხომ არ არისო; იქნებ, რაიმე უჭირთო. ვინ აქსიონოვია-მეთქი, ვკითხე. სეინერის კაპიტანიაო,მითხრა. ერთმანეთს ვეჯიბრებითო. ალბათ, მოასწრეს „თევზის აღება" და ნავმისადგომში ბრუნდებიანო, ჩვენ კი ბედმა არ გაგვიღიმაო. — წუხდა როლანდი. ვიგრძენი, რომ არაფერია ისე მტკივნეული მეთევზისათვის, ვიდრე ნაპირზე უთევზოდ დაბრუნება.

სამი საათი დასჭირდათ მეთევზეებს. ოფლში გაიღვიძენენ, სტიქიას მაინც არ დაანებეს თევზი. ასეთ ამინდში თევზით სავსე ბადე წყალს რომ გამოსტაკონ, მართლაც წარმოუდგენელი ვაჟკაცობაა. როგორც იქნა, ბადეს ზედაპირზე ამოაყოფინეს თავი. კაპიტანმა მურმან შაუთიძეს ტრუნის გახსნა დაავალა. გახსნა კიდევაც მურმანმა. თევზით სავსე წყალი თქრიალით წავიდა. მომცრო ქაფში თევზები სასიამოვნოდ ახტუნავდნენ, 50 ტონიანი ტრუნი პირთამდე იყო გავსებული.

გაგიღიმათ ბედმა! — ვეუბნები როლანდის. — თუმცა, ბედი რა შუაშია, თქვენი სიმარჯვით გადარჩა თევზი. როლანდის გაეღიმა.

კიდევ ერთი დიდი ბრძოლა უკვე გადახდილი იყო.

გაგრძელება **მე-7 გვერდზე**

სიღარიბის ფასი: 1000 დაღუპული ბავშვი წელიწადში

საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა, თუმცა, გაეროს ბავშვთა ფონდის ინფორმაციით, სიღარიბე მაინც გადაულახავ პრობლემად რჩება საქართველოსთვის, სადაც სიღარიბის ზღვარს მიღმა ბავშვთა 27 პროცენტი ცხოვრობს. საქართველოში ასევე მაღალია დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რომლითაც საქართველო მესამე ადგილზეა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. ასევე მაღალია იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ სკოლამდელ განათლებაზე. როგორია ბავშვთა ყოფა საქართველოში და რას აკეთებს მთავრობა მის გასაუმჯობესებლად?

საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების რაოდენობა 2011 წლიდან 2013 წლამდე 25 პროცენტიდან 27 პროცენტამდე გაიზარდა. გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელის მაია ქურციკიძის თქმით, მართალია, უკიდურესი სიღარიბე შედარებით შემცირდა, მაგრამ ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ აღემატება დანარჩენი მოსახლეობის სიღარიბის დონეს. „ეს იმას ნიშნავს, რომ ის დანახარჯები, რომელიც ღარიბი მოსახლეობისკენ იყო მიმართული, ძირითადად მიმართული იყო სხვა ჯგუფებისკენ და არა ბავშვებისკენ. შესაბამისად, ბავშვები კვლავ რჩებიან ყველაზე ღარიბ ჯგუფად. სწორედ ამიტომ იუნისეფი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, — ჩვენ მათთან ერთად ვმუშაობთ, — რომ სპეციალური შეღავათები იყოს შემოღებული ბავშვებთან დაკავშირებით," — უთხრა მაია ქურციკიძემ რადიო თავისუფლებას.

მაია ქურციკიძის თქმით, საქართველოში სოციალური დახმარების სისტემა საკმარისად არ ითვალისწინებს ბავშვების ინტერესებს. მოქმედი სისტემის ხარვეზებზე მეტყველებს დედათა და ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი: „5 წლამდე ასაკის 1000 ბავშვი იღუპება წელიწადში. აქედან 300 იღუპება კვების დეფიციტის გამო. არადა, არსებობს დაბალბიუჯეტიანი გადაწყვეტები, რომელსაც შეუძლია შეამციროს ბავშვთა სიკვდილიანობა და გააუმჯობესოს მდგომარეობა." მაია ქურციკიძის თქმით, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაეროს ბავშვთა ფონდი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მინისტრის მოადგილის მარიამ ჯაშის თქმით, ვითარებას მნიშვნელოვნად შეცვლის სამთავრობო პროგრამა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი მიკროელემენტების დეფიციტის აღმოფხვრაა: „ჩვენ უკვე ვაწარმოებთ კონსულტაციებს, რომ მოხდეს ფოლიუმის მჟავითა და რკინის მიკროელემენტებით პურის ფქვილის გამდიდრება სავალდებულო წესით, საკანონმდებლო დონეზე. საერთაშორისო გამოცდილებით, ეს არის ყველაზე ეფექტიანი ჩარევა. ასევე ერთ-ერთ საკითხად გამოიკვეთა დედათა და ბავშვთა სამსახურების, სამშობიარო სახლებისა და პედიატრიული სამსახურების ე.წ. რეგიონალიზაციის გეგმა, რომელიც იქნება აღნიშნული სამსახურების ხარისხის გაუმჯობესების გარანტი."

მარიამ ჯაშის თქმით, ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ, მიუხედავად წარმატებული დეინსტიტუციონალიზაციისა, დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მაინც რჩება 100-ზე მეტი ბავშვი. იუნისეფის მონაცემებით, ასევე საგანგაშო მდგომარეობაა ბავშვთა განათლების კუთხით: 15 წლის ბავშვთა 2/3-ს არ აქვს კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სათანადო ცოდნა და უნარი, რაც ყველაზე უარესი შედეგია ევროპაში. გარდა ამისა, ბავშვთა 50 პროცენტს და ღარიბთა 70 პროცენტს არ მიუწვდება ხელი სკოლამდელ განათლებაზე, რაც საქართველოს განათლების მინისტრის თამარ სანიკიძის თქმით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აკადემიური მოსწრების დონეზე. „პრობლემაა არასწორი სკოლამდელი განათლება და ამ მიმართულებით არგადადგმული ნაბიჯები. ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში განათლების ხარისხის ამაღლებასაც. ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილი, რომლის რევიზია ახლა მიმდინარეობს იმისათვის, რომ საფუძვლიანად მოხდეს ყველა საგნის შესწავლა სკოლაში," — უთხრა თამარ სანიკიძემ რადიო თავისუფლებას.

იუნისეფის ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მდგომარეობა. რა არის ამის მიზეზი? რადიო თავისუფლების ამ შეკითხვის პასუხად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ განახევრდა ციხეებში მყოფი ბავშვების რაოდენობა: „ადრე თუ იყო ყოველთვის 100-ზე მეტი, — 220-იც კი ყოფილა, — ამ წუთში არის 45, მაგრამ მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში 38-დან 60 ბავშვამდე მერყეობდა. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ძალიან დაბალი სასჯელები გამოიყენება ბავშვების მიმართ. მახსოვს, ადრე 4 წელი მიუსაჯეს 14 წლის ბავშვს იმის გამო, რომ მეზობელს ხიდან მოჰპარა 15 ლარის კაკალი. დღეს ხშირად გამოიყენება პირობითი სასჯელი, განრიდება და სხვა არასაპატიმრო სასჯელები." სოზარ სუბარის თქმით, იუნისეფის დახმარებით, პენიტენციურ სისტემაში მოხვედრილი ყველა ბავშვისათვის ინდივიდუალურად იგეგმება სასჯელი. გარდა ამისა, აშენდა სკოლის ახალი შენობა და პირველად განცალკევდა ერთმანეთისგან სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები. საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ამ და სხვა ნაბიჯებს მაღალი შეფასება მისცა გაეროს ბავშვთა ფონდის რეგიონალურმა დირექტორმა მარი-პიერ პუარიემ, რომელსაც ნაყოფიერი შეხვედრები ჰქონდა საქართველოს მთავრობის წევრებთან: „მინისტრებმა ნათლად წარმოაჩინეს მზადყოფნა მიჰყვნენ რეკომენდაციებს, რათა შემცირდეს ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა, გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების სისტემა, რომლის დროსაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ბავშვების ინტერესი ნებისმიერ ეტაპზე კანონთან შეხებისას. მთავრობის სურვილია განმტკიცება იმ წარმატებებისა, რომელიც მიღწეულია ბავშვთა ზრუნვის სფეროში გატარებული რეფორმების შედეგად, ოჯახების ხელშეწყობა, იზრუნონ საკუთარ შვილებზე. გარდა ამისა, აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე ზრუნვა მოექცეს ეროვნული გეგმის ცენტრში." საქართველოს სახალხო დამცველი კი მიიჩნევს, რომ ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია მხოლოდ ცალკეული ინსტიტუციების ძალისხმევით. უჩა ნანუაშვილის თქმით, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს მოქმედების ერთიანი გეგმა, რომლის განხორციელებაშიც ჩართული იქნება ყველა სახელმწიფო უწყება.

რადიო „თავისუფლება",
ჯიმშერ რეხვიაშვილი

რას წერდა „საბჭოთა აფხაზეთი" ქართველი მეთევზეების შესახებ

ეძღვნება აფხაზეთის მკვიდრ როლანდ ხარჩილავას ხსოვნას

მე-6 გვერდიდან

საჭიროდ არ ჩავთვალე, შეკითხვებით თავი მომებეზრებინა როლანდისათვის. მისთვის არ მიკითხავს: სად დაიბადა, სად გაატარა ბავშვობა, რა ჯილდოები აქვს მიღებული, რამდენი პროცენტით ასრულებს დღიურ ნორმას და როგორი იყო მისი პირადი წვლილი მე-9 ხუთწლედში... ან კიდევ: რომელი მწერალი უყვარს, რომელი მსახიობი ან სპორტსმენი. როლანდისთვის არც ის მიკითხავს, არჩეულია თუ არა რომელიმე ორგანოში, კომკავშირის ან პროფკავშირის კომიტეტის წევრად, არის თუ არა სახალხო რაზმეულის კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრი და სხვა ამისთანა.

დღევანდელი გამარჯვება, დღევანდელი შემართება ნათელს ჰფენდა გუშინდელ დღესაც, მერმისსაც. მე უკვე კარგად ვიცოდი, როგორი იყო იგი გუშინ და როგორი იქნება იგი ხვალ...

ქარიშხალი ოდნავ მიწყნარებულიყო და ძველებურად აღარ მძვინვარებდა. შორს, სანაპიროზე ამინდი თანდათან იცრიცებოდა. სეინერი ნავმისადგომისაკენ მიცურავდა. სივრცეში იკვეთებოდნენ ვიწრო სანაპიროს ჯერ ისევ ბუნდოვანი კონტურები.

როლანდ ხარჩილავა, კალათბურთელივით გიგანტი რომ ვუწოდე, გემბანზე იდგა და ზღვის დაბინდულ ზედაპირს გასცქეროდა.

როლანდი ხარჩილავას მეგობრები, ზღვის სტიქიით მოღლილნი და დადინჯებულნი, თვალებგაბრწყინებულნი შესცქეროდნენ მომავალი დღის განთიადის ზეცას.

მათ მშვიდი იერი ჰქონდათ.

არა არის რა ზღვასთან ჭიდილში გამარჯვებით მოპოვებულ სიმშვიდეზე უფრო თბილი გრძნობა.

... კოლმეურნეობის ეზოში მეთევზეები მოგროვილიყვნენ, ბიჭებს გაზეთი გაეშალათ და ხმამაღლა კითხულობდნენ სკკპ XXV ყრილობის მასალებს. როლანდ ხარჩილავა და მისი მეგობრები მეთევზეებს შეუერთდნენ...

ასე ისახება მეთევზეების გრძელი და ნათელი გზები.

ანზორ გვარამია
გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი"
18 მარტი, 1976 წ.



მეთევზეები
ხმელეთზე დაბრუნდნენ
ნარკვევი

P.S. როლანდ ხარჩილავა, რომელიც გარდაიცვალა 27 წლის წინ, დღეს ეთერი ბებოს თხოვნით გადმოსვენებულია თბილისში, გლდანის სასაფლაოზე, მისი მამის, იმენია ხარჩილავას გვერდით. ასევე ბებოს თხოვნით, აფხაზეთის ომში დაკარგულ გიორგი (ჟორა) ხარჩილავას, როგორც შინმოუსვლელ შვილს, საფლავზე ქვა დაუდგეს.

სამწუხაროა ისიც, რომ წლინახევრის წინ, მოულოდნელად გარდაიცვალა ბებოს გამორჩეული შვილიშვილი მამანტი (მამუკა) ხარჩილავა. მეომარი აფხაზეთში დაბრუნებას ვერ მოესწრო და ბაბუასა და მამას შორის დაასაფლავეს.

დღეს ეთერი ბებო ებრძვის ავადმყოფობას, გული უფრო მეტად სტკივა, როცა ვერ ახერხებს მისი ოჯახის უსაყვარლესი წევრების საფლავის მოფერებას.

ის დღესაც სიამაყით გულში იკრავს 1988 წელს გამოცემულ ილუსტრირებულ წიგნს „საქართველოს ბარაქა"-ს, რომელშიც შემთხვევით აღმოაჩინა სურათი, სადაც როლანდ ხარჩილავა მეთევზეებთან ერთადაა თავის სეინერზე გადაღებული. სურათი როლანდის გარდაცვალების შემდეგაა დაბეჭდილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ის გარდაცვლილი გიგანტი ხარჩილავები, ეთერი ბებოს და მის ოჯახის წევრებს კი ჯანმრთელობა და გამძლეობა არ მოაკლოს უფალმა..

ნინო ბაბუნაშვილი

გახსენება

ჩვენო სულიკო!

კიდევ მოვიდა 13 მარტი. თურმე ოთხი წელი გასულა.

მაინც ვერ ვეგუებით იმ აზრს, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ შენი შემართებით, იმედით, ოპტიმიზმით, ადამიანების სიყვარულით.

ბოლო პერიოდი ხომ ისეთი იყო, რომ ჩვენს თვალწინ იმსხვრეოდა მრავალი რამ და ასევე მრავალი ახალი იბადებოდა. მაგრამ სიძნელეები არ გაშინებდა, შენებურად ცდილობდი მათ გადალახვას... ცდილობდი ყველას დახმარებოდი, მიუხედავად იმისა, ეს დახმარება პირადად შენ ზიანს მოგაყენებდა თუ არა.

სულ ამბობდი, როგორ უნდა გავჩერდე მიწაშიო. შენი ენერგიის პატრონს ეს ძალიან გიკვირდა.

ყველაფერში გამორჩეული იყავი. იშვიათი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული, მეხსიერებით.

ძალიან გიყვარდა პროფკავშირული მუშაობა და არავის აძლევდი უფლებას, რომ ვინმეს ეს სამსახური აგდებულად მოეხსენიებინა.

საერთოდ, რასაც ხელს მოჰკიდებდი, გულით აკეთებდი. უგულოდ საქმის გაკეთება არ შეგეძლო. ეს თვისება შენს შვილში არის გადასული. რობერტი მუსიკას გულით ემსახურება. თუმცა, ამასწინ, მის კონცერტზე ასეთი რეპლიკა მოვისმინე: „ეს ყველაფერი სულიკო დეიდას დამსახურებაა, რომ სულიკო დეიდა არა, რობერტი ამას ვერ მიაღწევდაო."

რამდენჯერ გითქვამს, რატომ უკვირთ ჩემი შვილის სიმღერა, დედაჩემი კარგად მღეროდა და ჩემი და ლამარაც სენაკის „ტრიოს" წამყვანი სოლისტიაო. შენი შვილიშვილი სალომე თვისებებით ძალიან გგავს. შენ შეაყვარე მას ვიოლინო და ახლა რობერტის სიმღერებს ის უკეთებს აკომპანიმენტს.

განსაკუთრებით აფასებდი ახალგაზრდებს და ბავშვებს. მათთან ურთიერთობაში გარედან შემჩედვარე ვერ გაარკვევდა, რომელი იყო უფროსი და რომელი უმცროსი. პატარების გულს ადვილად იგებდი. ისინი ბებიად არც გთვლიდნენ. აი, მათი გამონათქვამები: „ჩემი ცელქი ბებია, ჩემი სულიჩკა".

კულტურის მუშაკთა პროფკავშირში ძალიან აკლიხართ, ყოველი ღონისძიების დროს ამოუწურავად გიგონებენ შენი გულისხმიერებით, შენი ოპტიმიზმით.

ასეთი იყავი, ასეთი დარჩი ჩვენს მოგონებებში.

ღმერთო, შენ გაანათლე მისი სული!

კულტურის მუშაკთა
პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე
ლალი ნიშნიანიძე

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: არ გაამჟღავნოთ დაფარული, უმჯობესია, ჯერჯერობით, ყველაფერი ისე დარჩეს როგორც არის.

კურო: ისწავლეთ ადამიანების ნდობა და მეგობრების დაფასება. თუმცა, რა თქმა უნდა, თქვენი გარემოცვიდან ყველა არ არის ღირსი ნდობის, შეარჩიეთ მეგობრები, რომ მომავალში არ ინანოთ.

ტყუპები: მართალია, მნიშვნელოვანი საზრუნავი გქონდათ, მაგრამ დროა, სხვა რაღაცები გვერდზე გადადოთ და საკუთარი თავის სიამოვნებისთვის ცოტა მეტი დრო დახარჯოთ.

კირჩხიბი: დრო ისეთ ადამიანებთან გაატარეთ, ვისაც უყვარხართ და თქვენი გვერდით დანახვა უნდა. იყავით მათ გვერდით, ვისაც ნამდვილად ესაჭიროება თქვენი თანადგომა და მხარდაჭერა.

ლომი: შესაძლებელია იფიქროთ, რომ ცხოვრება უღიმღამო და მოსაწყენია, მაგრამ ყველაფერი ეს დროებითია და მალე შეიცვლება საპირისპიროდ. თქვენს ცხოვრებაში გამოჩნდება ადამიანი, რომელიც რადიკალურად შეცვლის თქვენს შეხედულებებს ცხოვრებაზე.

ქალწული: მხოლოდ ზარმაცი თუ იტყვის, რომ ცუდი პერიოდია და არსად არ უნდა წასვლა. ისინი კი ვინც ამ კატეგორიას არ განეკუთვნებიან, ყოველგვარი სიზარმაცის გარეშე გარეთ გავლენ და აქტიურად დაისვენებენ.

სასწორი: კარგი დროა ნებისმიერი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. თამამად იყავით და ყველაფერი გამოგივათ, არ დაგავიწყდეთ, თუ საჭირო გახდება მეგობრებს და ახლობლებს სთხოვოთ დახმარება.

მორიელი: ელოდეთ ისეთ სიურპრიზებს, რომლებზეც ოცნებასაც კი ვერ ბედავდით. ყველაფერი დაგეგმეთ წინასწარ, არ მოერიდოთ ყველაზე თამამ ნაბიჯებსაც კი, ყველაფერი გამოგივათ.

მშვილდოსანი: დროა, გადადგათ ნაბიჯები წინ და გადაწყვიტოთ ის პრობლემები, რომლებიც უკვე დიდი ხანია გადასაწყვეტია. ნუ ცდილობთ დროის გაყვანს.

თხის რქა: ხელსაყრელი დროა საქმიანი გეგმების განსახორციელებლად. მარტოხელა თხის რქები ამ დღეებში ცხოვრების სიყვარულს შეხვდებიან.

მერწყული: გირჩევთ დაისვენოთ და მაქსიმალურად მოდუნდეთ, ეს რჩევაცაა და დარიგებაც. თუნდაც ფიქრობდეთ, რომ ბევრი საქმე გაქვთ გასაკეთებელი, მაინც უმჯობესია, გადადოთ საქმეები.

თევზები: საქმეების და პრობლემების ისე დატოვება როგორც არის არ ღირს. თქვენ სასწრაფოდ უნდა შეცვალოთ რამე თქვენს ცხოვრებაში, თორემ მოწყენილობა დაგეუფლებათ, ხოლო ეს კარგი არ არის.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. პოლიცია; 5. უნცია; 6. სან; 8. მია; 9. მარაო; 11. საპყარი.
შვეულად: 1. ელვის; 2. აცე; 3. პონციუს; 4. აგარაკი; 7. მაკაო; 10. სპა.

არაჩვეულებრივი ბიჭი

„როცა შეიგრძნობ ყოველივეს, წამის მშვენებას, სულ უბრალოშიც აღმოაჩენ მშვენიერებას"

გაიცანით ზურა ჩახუნაშვილი – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ერთი არაჩვეულებრივი ბიჭი, თავისი არაჩვეულებრივი ცხოვრებით, რომლის საიდუმლოც ყველაფრის – ჩვეულებრივობის, მარტივი იდეოლოგიის ძიებაშია. ზურა დაიბადა წყალტუბოში, 1994 წლის 9 მაისს, ჰყავს მშობლები და ორი ძმა. ლექსების წერა 13 წლის ასაკში დაიწყო, თუმცა უკვე ერთი წელია, რაც პოეზიიდან პროზაში გადაინაცვლა.

„მაშინ ძალიან მომწონდა ლექსების წერა, მაგრამ ამ ერთ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა, ჩემი შეხედულებები, დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხზე. შეიძლება ეს გარდატეხა ფილოსოფიის დამსახურებაცაა. ძველ ლექსებს თვალს როცა ვავლებ, მგონია, რომ სულ სხვა ადამიანის დაწერილია. ეგ ტალღა მორჩა, შემდეგში კიდევ თუ დავუბრუნდი ამ საქმეს, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა იდეით იქნება დატვირთული ლექსები. შეიძლება წარსულის შემოქმედების აბსოლუტურად საწინააღმდეგოც იყოს, რადგან ჩემ გონებაში მოხდა გადაფასება და სულ სხვა რამე გახდა ჩემთვის მნიშვნელოვანი. დღესდღეობით მოთხრობებს ვწერ და მგონია, რომ ამის მიმართ არ შემეცვლება დამოკიდებულება და მომავალშიც გავაგრძელებ ამ სტილით წერას, თუმცა არაფერია გამორიცხული. ვერც იმას ვიფიქრებდი, თუ ლექსების წერაზე უარს ვიტყოდი, მაგრამ ასე მოხდა..." — ამბობს არაჩვეულებრივი ბიჭი ზურა.

მისი პირველი, ღრმად ფილოსოფიური პროზაული ნაშრომის სათაურია „ტიპი, რომელიც სამყაროს შეუერთდა". ზურას ჰობს მხოლოდ წერა არ წარმოადგენს, იგი 14 წლიდან სპექტაკლებში იღებს მონაწილეობას. პირველი ნაბიჯები თეატრისკენ სკოლაში გადადგა და დღეს აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის თეატრალურ დასში ლევან კვატაშიძის ხელმძღვანელობით აქტიურად არის ჩართული თეატრალურ ცხოვრებაში. დასი სპექტაკლებს ქალაქგარეთაც მართავს.

ზურა ჩახუნაშვილი, ყველაფერთან ერთად, გატაცებულია ხატვითაც. უპირატესობას მოდერნიზმს ანიჭებს. მისი სურვილია, ფილოსოფიის შემდეგ დაეუფლოს რეჟისურას. ნამდვილი კინოგურმანია. როგორც თვითონ ამბობს, „ფილმი – ეს ის ერთ-ერთი თემაა, რომელზეც ამოუწურავად შემიძლია ვისაუბრო".

მიუხედავად სირთულისა, მაინც დამისახელა 3 დიდი რეჟისორი, ვინც დიდი როლი ითამაშა კინოსადმი მისი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში – ფრანსუა ტრიუფო, სერ ალფრედ ჰიჩკოკი და სტენლი კუბრიკი.

უყვარს მუსიკა, განსაკუთრებით კი – ბლუზი. მისი დევიზია: „სიამოვნების განცდა მარტივად".

მარუსა ხურციძე

სტუდენტური სპექტაკლი „ამაშია საქმე" ლადო მესხიშვილის თეატრის სცენაზე

წარმოგიდგენთ **ზურა ჩახუნაშვილის** რამდენიმე ლექსს:

სონეტი 4

არსებობა არარსებობის საწინდარია,
აზრი ცხოვრების უპასუხო კითხვების
გროვა,
კაცთა გონება დაფიქრებამ ოდეს არია
და ზოგიერთი ამ კითხვების გაგვიხდა
მონა.
მე მწამს, შევიგრძნო ნეტარების
ყოველი წამი
და ყოველ დილით გავიღვიძო
ახალშობილი,
შევიგრძნო ღამე, განთიადი და დილის
ნამი
როცა დროებას მოწყვეტილი
მთა-ბარს მოვივლი.
არ დავიტანჯავ თავს კითხვებით, ცრუ
იმედებით,
იმაზე ფიქრით, თუ რა მელის, როცა
მოვკვდები
და ამ გუბეში, სადაც ბოღმა ივსება
ქებით,
შევიგრძნობ ყოველს და სასწაულს
დაველოდები.
ახალი დილა საწყისია შურის,
ტყუილის,
მაგრამ ღირს ბრძოლა, თუნდ
მცირედი, კარგის გულისთვის!

ყოფნა მთვარეზე

ცარიელ სახლში მარტოდმარტო,
შენ და შენ ერთად
ჩუმ დიალოგში გაბნეულნი
საზღვრების მიღმა,
ღამის რითმები მდუმარებით ფიქრებს
რომ ერთვის
და ვერცხლის შუქი სარკმელიდან
თითქოს რომ ყინავს.
იგივ სარკმლიდან მონაბერი
ზაფხულის სუნთქვა,
ცივ სხეულზე რომ ნეტარებად
მოგეფინება
და განსხვავებით, საუკუნე გალიო
უქმად,
საუკუნეებს წამში აქცევ შეგრძნების
მცნებად.
თავისუფალი, მეტად ვიდრე ყოფილა
ვინმე
ოდესმე, ვისაც უმზერია სითბოთი
ცივად,
ოდეს აბსურდით შეპყრობილი –
ქაოსს რომ იტევს,
უკვე მხოლოდღა სილამაზის საწყისს
რომ იცავ.
ყოფიერების სიმსუბუქით ამჩატებული,
ყოფნა არ ყოფნას განსხვავებით ხედავ
სხვებისგან,
უგრძნობი გონით, ყოვლის მცოდნე,
გრძნობად სხეულით
მეტად არსებობ ვიდრე ვინმეს
უარსებია.

სონეტი 2

მიჯნურს, სახელად პიროვნებას,
გრძნობა ეწვია,
გრძნობა წყეული, გზა რომ სისხლით
გაუვლია და
სული ფაქიზი, უნებურად შემოეწირა
და ხორცი, ცოდვით დასერილი,
დაუჭიანდა.
ბრალი არ დასდეს, ოდეს ძლიერს და
აწ დაცემულს,
რადგან მსაჯული, ვერა კაცი ვერ
იქნებოდა,
რადგან იმგვარვე, უფრო მეტიც –
გადაჭარბებულს,
ცოდვას იტევდა ყოველივე, და
ნებდებოდა.
და ვისაც სურდა განეხილა კაცთა
სიმართლე,
ჯერ სამართალი თავის თავში უნდა
ეპოვა,
მაგრამ სიბნელით შემოსილი როდი
ინათებ?
როცა ნათელი ირგვლივ ყველას
გამოეტოვა.
მონანიებას ეძახიან ცრუ აღსარებას
და ცვლას კარგისკენ სიფაქიზის
გადაგვარებას.



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ქუთაისის მაჟორიტარი **გუბაზ სანიკიძე** პირველად **ნანა ფანცხავამ** ამოიცნო, შემდეგ დაგვიკავშირდნენ: ნანი ქობულოვი და სულიკო ფუტკარაძე.

რას დაარქმევდით?

თინა მახარაძე

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

თეა წულუკიანი

თავისუფლება ლომთა ხვედრია!..

შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. რაიონი იმერეთში; 5. ბანქოს თამაშში ჩადებული თანხა; 6. ანჩხლი, კაპასი; 8. ... ძე დუნი; 9. რაიონი დასავლეთ საქართველოში (შიდა ქართლში); 11. ოიდიპოსის დედა და ცოლი.

ვერტიკალურად: 1. ჯიუტი ცხენი; 2. დედამიწის ქალღმერთი ბერძ. მითებში; 3. თამარ მეფის მეორე ქმარი დავით ...; 4. კლეოპატრას სამშობლო; 7. „წითელი" პლანეტა; 10. ფუტკრის სახლი.